ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №16/49

2018 წლის 30 ივლისი

ქალაქი ფოთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა- პატრონობის ცენტრში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების (შტატგარეშე მუშაკები) მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 ივლისის №14/49 განკარგულების, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 20 ოქტომბრის №681 ბრძანებით დამტკიცებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის წესდების, "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 ივლისის №14/19 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა- პატრონობის ცენტრი (შემდგომში-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა- პატრონობის ცენტრი) სასაფლაოების ტერიტორიაზე ახორციელებს:

ა)ბალახის,ბუჩქების, ხეების გაკრეჭვას და მორთვას;

ბ)წყლის ქსელების, გზების, შენობების და სასაფლაოს სხვა ინფრასტრუქტურის წესრიგში მოყვანას;

გ)სასაფლაოების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების შეძენასა და მომსახურეობას;

დ)მიცვალებულის ნეშთის დაკრძალვისათვის საჭირო მომსახურებას;

ე)სასაფლაოს ტერიტორიის (გასასვლელები, ბილიკები, საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა ადგილები) მორწყვას, რეგულარულ დაგვა-დასუფთავებას, მწვანე ნარგავების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებას და სხვა სამუშაოებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა- პატრონობის ცენტრი ახდენს 21 ჰექტრამდე ტერიტორიის მოვლა-პატრონობას. აღნიშნული ტერიტორიის მოვლა-პატრონობისთვის საჭიროა, მთიბავები, დასუფთავებისა და ნარჩენების გამტანი პირები, მესაფლავეების დამხმარეები და სხვა პირები. ზემოხსენებული პირები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა- პატრონობის ცენტრში დასაქმებული არიან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე (შტატგარეშე მუშაკები), აღნიშნული პირების შრომის ანაზღაურების დაფინანსების ძირითადი წყაროა არასაბიუჯეტო შემოსავლები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ ეს კანონი ან საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის პასუხისმგებელ მუნიციპალიტეტის ორგანოს, აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

“თვითმმართველი ქალაქის-ფოთის (თვითმმართველი ერთეულის) მიერ დაფუძნებული და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის №27/141 განკარგულებით დამტკიცებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის ხელფასების ზედა ზღვარი, ამდენად, საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად ხარჯვის მიზნით, მიზანშეწონილია საკრებულოს განკარგულებით დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა- პატრონობის ცენტრში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების(შტატგარეშე მუშაკები) მაქსიმალური რაოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად

მუხლი1.

განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა- პატრონობის ცენტრში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების(შტატგარეშე მუშაკები) მაქსიმალური რაოდენობა 14 ერთეული.

მუხლი2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს განკარგულების ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზეც.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №16/29

2018 წლის 30 ივლისი

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/56 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge), 29/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.111.016246) შეტანილი იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 119^3-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენ სუბიექტს გადასცემს მხარდამჭერთა სიის ბლანკებს, რომელიც უნდა შეიცავდეს მხარდამჭერის სახელის და გვარის, დაბადების თარიღის (რიცხვი, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომრის, რეგისტრაციის ადგილის, ხელმოწერის თარიღის და ხელმოწერის ადგილის შესახებ ინფორმაციას;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ გაცემულ თითოეულ ბლანკზე მითითებული უნდა იყოს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის (მომხსენებლის/მომხსენებლების) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი, ხელმოწერით დადასტურების თარიღი, ხელმოწერის ადგილი და შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია;".

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №16/50

2018 წლის 30 ივლისი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი1.
ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

მუხლი2.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3)

მუხლი3.
განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურის 2017 წლის ანგარიში

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი მიზანია: ეროვნული კულტურისა და უძველესი ტრადიციების ფართო პროპაგანდა, ქალაქში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარება, მოსახლეობის ესთეტიკური აღზრდა, ნიჭიერ შემოქმედთათვის სათანადო პირობების შექმნა და მათი მაქსიმალური გამოვლენა. გამოფენა-გაყიდვების, კონკურსების, პერსონალური გამოფენების და შემოქმედებითი შეხვედრების ორგანიზება და მოწყობა, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებისათვის თანაბარი პირობების შექმნა. ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად განვიხილავდით ქართული ხალხური ფოლკლორის პროპაგანდასა და მის პოპულარიზაციას. ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენას და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობას. მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა გაერთიანებების საქმიანობის პროპაგანდას. ქალაქში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შემოწმებას და რეაბილიტაციასთან დაკავშირებით შესაბამისი წინადადებების მომზადებას. ქალაქის კულტურული და სახელოვნებო პროცესების განვითარების ხელშეწყობას.

სამსახურის ინიციატივით დაინერგა ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების პრაქტიკა. ქალაქში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესახებ მომზადდა და შემუშავდდა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით შესაბამისი წინადადებები. პრიორიტეტებიდან გამომდინარე კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურის მიერ 2017 წელს განხორციელდა სხვადასხვა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები.

2017 წელს, ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე, არაერთი საგანმანათლებლო და კულტურული პროექტი განხორციელდა.

მოსწავლე–ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის, ეროვნული ცნობიერების, ინტელექტუალური დონის ამაღლების მიზნით ჩატარდა შემეცნებითი კონკურსები, თემატური გამოფენები და კონფერენციები, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო წარმატებულ, ღვაწლმოსილ პედაგოგთა და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვთა წარმოჩენის, მხარდაჭერის და წახალისების პროექტებს.

2017 წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურს ქალაქის ბიუჯეტის ფორმირების შედეგად ღონისძებების დასაფინანსებლად დაუმტკიცდა თანხა **149 700 ლარის** ოდენობით (მათ შორის 2016 წლის გარდამავალი თანხა 6 400 ლარი, 2017 წელს საახალწლო ღონისძიებების თანხა 15999 ,62 გადაირიცხა 2018 წელს)
ფაქტიურმა დანახარჯმა შეადგინა --99 200 ლარი.

2017 წელის სახელმწიფო შესყიდვებით განხორციელებული ღონისძიებები:

1. **3 იანვარს** - კულტურის სამსახურის ორგანიზებით, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვთა ცენტრის ბავშვების, მრავალშვილიან ოჯახთა მოზარდების, მარტოხელა დედის შვილების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, შეჭირვებული ოჯახის შვილების და შშმ ბავშვთა "დღის ცენტრის" ბავშვებისათვის დაიგეგმა საბავშვო სპექტაკლები და საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა მოძრაობის თეატრის მსახიობების მონაწილეობით. ღონისძიების ფარგლებში

ბავშვები დასაჩუქრდნენ საახალწლო ნუგბარით. ვ. გუნიას სახელობის პროფესიულ თეატრში პატარებისათვის გაიმართა სპექტაკლი ,,აბრაკადაბრა'' და საახალწლო საბავშვო გასართობი შოუ-პროგრამა - მოძრაობის თეატრის მსახიობების მონაწილეობით.

2016 წლის გარდამავლი თანხა-6 400 ლარი

2. 3-8 მარტს - სამსახურის ორგანიზებით, დედის დღესთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ მოინახულა ღვაწლმოსილი ქალბატონები და დღესასწაული მიულოცა ტკბილეულითა და ყვავილებით. საგამოფენო დარბაზში ჩატარდა "დედის დღე" მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. 8 მარტს - ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 8500 ლარი

3. 9 აპრილს- დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. წარმოდგენილი იყო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია ეროვნულ მოტივებზე. ღონისძიების ფარგლებში 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი შეიმკო გვირგვინითა და ყვავილებით. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა ხელისუფლებამ, საჯარო სამსახურების და კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა, ქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და ანსამბლებმა. საბიბლიოთეკო გაერთიანების დარბაზში 9 აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილი ფოტო -გამოფენა - „ჩვენ გვახსოვს გმირები“ კინო - ჩვენება გაიმართა.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 900 ლარი

4. 11-22 აპრილს - ჩატარდა ,,დედაენის დღე“ -- ,, ამბავი ქართული ენისა'', პროექტის მიზანია მშობლიური ენის ისტორიის გაცნობა, მოსწავლეთა ცოდნის დონისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, საკვლევ - საძიებო და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

მრავალფეროვანი პროგრამით წარიმართა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლეთა კონფერენცია: ,, ენა ბურჯია ერისა,'' საუკეთესო ხელნაწერის, კედლის გაზეთის, ნორჩ დეკლამატორთა გამოსავლენად ჩატრებული კონკურსები, ასევე, ინტელექტუალური კონკურსი ,,ენაი შემკული და კურთხეული.''

დედა ენის კვირეულის კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეთათვის მოეწყო შემეცნებითი ექსკურსია თბილისში კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში და სახელმწიფო ეროვნულ არქივში. ხოლო დედა ენის ძეგლთან გაიმართა მათი დაჯილდოება, სადაც 32 მოსწავლეს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 1700 ლარი.

5. 9 მაისს-,,9'' მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება“ გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში 9 მაისს დაღუპულთა მემორიალი შეიმკო გვირგვინითა და ყვავილებით. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი ხელისუფლების, საჯარო სამსახურების და კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა. იმ ვეტერანებს,რომლებიც

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ღონისძიებას ვერ დაესწრნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამარჯვების დღე პირადად მიულოცეს და სასაჩუქრე კალათები გადასცეს ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ვეტერანებს ერთჯერადი დახმარების სახით ფოთის მუნიციპალიტეტისგან საჩუქრად 350 ლარი გადაეცათ. ღონისძიების დასასრულს სამამულო ომის ვეტერანებისათვის გამართა საზეიმო ვახშამი.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 2600 ლარი

6. 26 მაისს-გაიმართა „ 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება". პროექტის მიზანი : საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ღირსეულად აღნიშვნა, მოსახლეობაში და მოზარდ თაობაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება. ღონისძიების ფარგლებში კოლხური კულტურის მუზეუმში მოეწყო გამოფენა სახელწოდებით ,,საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები" გაიხსნა,რომელიც კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებით მოეწყო.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრიდან საკათედრო ტაძრამდე საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მსვლელობა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები. ქალაქის ცენტრალურ პარკში პარალელურად კულტურული და სპორტული ღონისძიებები მიმდინარეობდა.ქალაქის მერმა დღესასწაულის მონაწილეებთან ერთად დაათვალიერა საზეიმოდ გამოფენილი სამხედრო ტექნიკა,საქართველოს პროფესიული კოლეჯებისა და უმაღლესი სასწავლებლების, ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრები და შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა დღის ცენტრის ნამუშევრების გამოფენა;საბიბლიოთეკო გაერთიანების ორგანიზებით მოეწყო „ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო პროგრამა ჯგუფი „ფორტე" -ს კონცერტით დასრულდა.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 15000 ლარი.

7. 26 მაისს- „ბოლო ზარის" ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ გალა კონცერტზე, საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა, ირაკლი კაკულიამ ფულადი პრემიით, სიგელებით და სასაჩუქრე წიგნებით დააჯილდოვა 2016-2017 სასწავლო წლის საუკეთესო 15 კურსდამთავრებული და სამინისტროს მიერ ინიცირებულ კონკურსებში, პროექტებსა და პროგრამებში გამარჯვებული 10 მოსწავლე. ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად წლის წარმატებულ 16 მოსწავლეს მიულოცეს და ფულადი წამახალისებელი ჯილდოები და სიგელები გადასცეს ნელი გეგეშიძის ფონდისა და ,,APM'' ტერმინალის წარმომადგენლებმა.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 6400 ლარი

8. 1 ივნისს -ბავშვთა უფლებების დაცვისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის საბავშვო გასართობი ღონისძიებები გაიმართა. დილიდან, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელებმა, ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტი მოხატეს -,,ჩემი საქართველო". პატარებისათვის მოეწყო გასართობი პროგრამა ჯამბაზისა და ზღაპრის გმირების

მონაწილეობით.ქალაქის ცენტრალურ პარკში სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულების ბავშვების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. ღონისძიების დასასრულს ქალაქის მერმა ირაკლი კაკულიამ ყველა საბავშვო-ბაღის გამგეს მადლობის სიგელი გადასცა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისა და მხარდაჭერისთის.ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპეციალურად პატარებისთვის თბილისის ალ.გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის დასმა სპექტაკლი ,,კარლსონის თავგადასავლი" წარმოადგინა.

ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები სტუმრობდნენ -,,თვითმმართველი ქალაქ ფოთის ბავშვთა ცენტრი''-სა და კოალიცია - ,,სოციალური რეფორმებისათვის დღის ცენტრი''-ს პატარებს.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 3100 ლარი

9. 18 ივნისს, ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში ღვაწლმოსილი ხელოვანის, ხელოვნების ქურუმის, ბატონი იროდი ტიკარაძის დაბადებიდან 75-ე და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო-შემოქმედებით საღამო და მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი გაიმართა.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 5100 ლარი

10. 22 ივლისს - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ფაზისობის დღესთან დაკავშირებით მასშტაბური ღონისძიებები გაიმართა . მალთაყვის სანაპირო ზოლზე ჩატარდა პლაჟის ფეხბურთი და დრიფთშოუ. ფოთის შუქურაზე მოეწყო მარინისტული ნამუშევრების გამოფენა და ჩატარდა ხატვის მასტერკლასი, ხოლო კოლხური კულტურის მუზეუმში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ეგიდით საჯარო ლექცია და ინტელექტუალური თამაში ,,რა არის მოზაიკა" გაიმართა.ქალაქის ცენტრალურ პარკში მთელი დღის მანძილზე პარალელურად მიმდინარეობდა კულტურული და სპორტული ღონისძიებები ფაზისობის ღონისძიების ფარგლებში აღმაშენებლის ქუჩაზე ,ბორის პაიჭაძის ბიუსტთან ნორჩმა ფეხბურთელებმა მხატვრული სანახაობა და ქუჩის ფეხბურთი მოაწყვეს.რკინიგზის სადგურში თბილისი- ფოთის მატარებლის მგზავრების დახვედრა და მათთვის ფლეშმობი გაიმართა. ,, ფაზისობა 2017 ,, საზეიმო პროგრამა კონცერტითა და ფოიერვერკით დასრულდა.ღონისძიებების პარალელურად საერთაშორისო კვესტი (თამაში) სახელწოდებით ,,ქალაქის საგანძური" მიმდინარეობდა. თამაში სათავგადასავლო და შემეცნებითი ხასიათის იყო.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 14600 ლარი

11. 22 ივლისს -ფაზისობის დღესასწაულზე ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა განსაკუთრებული ღვაწლის მქონე 20 ფოთელს.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 5000 ლარი

12. 8 აგვისტოს- სამსახურის ორგანიზებით, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო 8 აგვისტოს ომის ამსახველი ფოტო – გამოფენა. მემორიალის გვირგვინებით შემკობა. საკათედრო ტაძარში კი, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა,მეუფე გრიგოლმა ომში დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 1700 ლარი.

13. **5 ოქტომბერს-** ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში მასწავლებელთა დღე აღინიშნა. მიზანი: პედაგოგთა პრესტიჟის ამაღლება, მათ მიმართ უდიდესი მადლიერების გრძნობის გამოხატვა, საუკეთესო მასწავლებელთა და სკოლების გამოვლენა, წახალისება. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით სიგელებით, საჩუქრებით და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს ქალაქის 21 ღვაწლმოსილი, 20 პროფესიონალი, წარმატებული პედაგოგი და 14 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მასწავლებლები. ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად წლის წარმატებულ პედაგოგებს დღესასწაული მიულოცეს და ფულადი წამახალისებელი ჯილდოები გადასცეს ნელი გეგეშიძის ფონდისა და ,,APM" ტერმინალის წარმომადგენლებმა.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 10300 ლარი.

14. პრიორიტეტებიდან გამომდინარე 2017 წელს განხორციელდა სხვადასხვა დარგების ფინანსური მხარდაჭერა. **კერძოდ:** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების მატერიალური წახალისების (ჯილდო)

პროექტის ფარგლებში 2017 წელს დაჯილდოვდა 83 ადამიანი.
2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 14800 ლარი

15. კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში და კონკურსებში მონაწილეთა ტრანსპორტირების მუხლიდან ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად ტრანსპორტით უზრუნველყოფა გაეწია ადგილობრივ ანსამბლებსა და ჯგუფებს.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 3100 ლარი

16. 26 დეკემბერი-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის და კულტურის სამსახურის ორგანიზებით,ალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრში მერის სახელით გაიმართა საახალწლო მიღება და მთავარი ნაძვის ხის საზეიმოდ ანთების ცერემონია.

30 დეკემბერს - ქალაქის თვითმმართველობამ,უპოვართა სასადილოში მიმაგრებული პირები საახალწლო ნუგბარით დაასაჩუქრა,მათთვის მოეწყო საახალწლო კონცერტი ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით.

2018 წლის 4 იანვარს - კულტურის სამსახურის ორგანიზებით, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვთა ცენტრის ბავშვების, მრავალშვილიან ოჯახთა მოზარდების, მარტოხელა დედის შვილების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, შეჭირვებული ოჯახის შვილების და შშმ ბავშვთა "დღის ცენტრის", ბავშვებისათვის დაიგეგმა საბავშვო სპექტაკლები და საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა.

(აღნიშნულ ღონისძიებებზე ტენდერი გამოცხადდა 2017 წელს და დასრულდა 2018 წლის 4 იანვარს. თანხა 15999,62 გადაირიცხა 2018 წელს)

2017 წელს განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებები:

1. **14 იანვარს** - ქართული თეატრის დღე აღინიშნა. თარიღის აღსანიშნავად, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ლაშა ბუღაძის კომედია „თეატრი“ წარუდგინა მაყურებელს. ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მერიის ინიციატივით, ფოთელ მსახიობებს საჩუქრად ფულადი ჯილდო გადაეცა.

2. **2 თებერვალს**-საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დაფინანსებით ფოთის მუნიციპალიტეტში მხატვრული ფილმი „ჰორიზონტი“-ს გადაღება მიმდინარეობდა, ფილმის გადასაღებად სამსახურის დახმარებით რეჟისორისა და გადამღები ჯგუფის მიერ პალიასტომის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე შეირჩა შესაბამისი ლოკაციები. ფილმის რეჟისორი თინათინ კაჭრიშვილია. მთავარ როლებს გიორგი ბოჭორიშვილი,ია სუხიტაშვილი და ჯანო იზორია ასრულებენ.

3. 16 თებერვალს ჩატარდა ,,საჯარო კითხვის დღე''. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციაციის მხარდაჭერით პროექტის ფარგლებში ქალაქის მოსწავლე - ახალგაზრდობა შეხვდა პოეტსა და პროზაიკოსს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს გიორგი კეკელიძეს, რომელმაც დამსწრეთ თავისი შემოქმედება გააცნო. შეხვედრის მთავარ მიზანს წიგნის პოპულარიზაცია და საბიბლიოთეკო სისტემაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა წარმოადგენდა. ღონისძიებაში მოსწავლეებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებმა და მოსწავლეებმა. შეხვედრა კითხვა –პასუხის რეჟიმში საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარიმართა.

4. **9 მარტს** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზში ოტია ჯაიანის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლის მარიამ ქანთარიას პერსონალური გამოფენა მოეწყო.

5. 18 მარტს - ქალაქში სტუმრად იმყოფებოდა ფოთთან დამეგობრებული, ისრაელის ქალაქ კირიატ-იამის დელეგაცია, შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას და მეგობრობის ტრადიციას. კირიატ-იამის დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები.სპეციალურად დელეგაციის წევრებისთვის ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,ფაზისის“ შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

6. 21 მარტს - ქ. ფოთის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, საერთაშორისო დემოკრატიული განვითარების ცენტრის ინიციატივითა და პროექტ - "ჩემი მომავალი სასწავლებელი"-ის ფარგლებში (მენეჯერი - მარი შენგელია) ჩატარდა შეხვედრა სხვადასხვა საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან და აბიტურენტებთან. შედგა გამოცემა - "ჩემი მომავალი სასწავლებელი"-ის პრეზენტაცია, რომელიც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის საინფორმაციო ბუკლეტებთან ერთად სრულიად უსასყიდლოდ გადაეცა მოწვეულ სტუმრებს.

7. 21 მარტს - მსოფლიო დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს, ამ დღესთან დაკავშირებით კამპანია „მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან“ ფარგლებში სამსახურის ორგანიზებით ქალაქის ხელმძღვანელმა პირებმა კოალიცია "სოციალური რეფორმებისათვის " შშმ ბავშვთა " დღის ცენტრი"-ს აღსაზრდელები

მოინახულეს, სიმბოლური საჩუქრები გადასცეს და მათთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

8. 27 მარტს- ჰიდროგრაფიის სამსახურის საკონფერენციო დარბაზში, სახელოვნებო ცენტრთან არსებული სამხატვრო სასწავლებელის ორგანიზებით ჩატარდა შემოქმედებითი კონფერენცია: „მარინიზმი ხელოვნებაში“.

9. 29 **მარტს**- ზუგდიდის ტექნოპარკში სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში კულტურის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ტელეხიდის მეშვეობით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი უძღვებოდა.მინისტრის მოადგილემ კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაზე, მერების და გამგებლების მოადგილეებთან და კულტურის სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელა.ლევან ხარატიშვილმა, სამოქმედო გეგმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მის შემუშავებაში მუნიციპალიტეტების ჩართულობას გაუსვა ხაზი.სამუშაო შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში გაიმართა.

10. **5 აპრილს**- ფოთის შუქურის შენობაში გაიმართა სახელოვნებო ცენტრთან არსებული სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგთა-მაია გერსამიას, მაია ჩარაევას, ეკატერინე გედენიძის, სერგო ხაზალიას, მერაბ ყალიჩავას , ჯანო დანელიას ჯგუფური გამოფენა სახელწოდებით "ქალაქი ნაპირად ზღვის".

11. **8 აპრილს** - გამოჩენილი ქართველი ლოტბარის, ფოლკლორის ამაგდარისა და პოპულარიზატორის, საზოგადო მოღვაწის ძუკუ ლოლუას ხსოვნას პატივი მიაგეს. რუსთაველის რკალზე, ხელოვნების სკვერში, ძუკუ ლოლუას დაბადებიდან 140 წლისთავი ღონისძიებით აღინიშნა,რომელიც კულტურის სამსახურისა და სახელოვნებო ცენტრის ორგანიზებით მოეწყო. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელოვნების მუშაკებთან ერთად ძუკუ ლოლუას ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

12. 22 **აპრილს**-საქართველოს პროკურატურამ პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში კამპანია - „არ დაარღვიო საგზაო მოძრაობის წესები“ დაიწყო. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, ფოთის რაიონული პროკურატურისა და კულტურის სამსახურის ორგანიზებით მოსახლეობისთვის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფლეშმობი მოეწყო. ღონისძიების მსვლელობისას ავტოსაგზაო შემთხვევის იმიტირებული ჩვენება გაიმართა. ღონისძიების მონაწილეებმა ფოთის რაიონული პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად მოსახლეობას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საინფორმაციო ფლაერები დაურიგეს.კამპანიის - „არ დაარღვიო საგზაო მოძრაობის წესები“ ფარგლებში საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობისთვის და სკოლის მოსწავლეებისთვის ავტოსაგზაო შემთხვევების დროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებსა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომწვევ მიზეზებსა და ქმედებებზე აწვდიდნენ ინფორმაციას. ღონისძიების მიზანი ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია იყო.

13. 23 **აპრილს**, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ახალგაზრდა მწერლის ლუკა ცომაიას რიგით მეორე წიგნის, მისტიკური ტრილოგია - "წვიმის კაცი"-ს პრეზენტაცია შედგა.

14. **23-30 აპრილს,** საბიბლიოთეკო გაერთიანების დარბაზში წიგნის საერთაშორისო დღესთან და ბიბლიოთეკარის პროფესიული დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით ჩატარდა წიგნის კვირეული. კვირეულის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარებთან. ღონისძიების მიზანია ფართო აუდიტორიისათვის ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარების წარდგენა, მათი საქმიანობის დაფასება და ახალგაზრდა თაობის მიერ.

15. **1 მაისს,** საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, ფოთის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ოთარ სურგულაძის მოთხრობის -"ვიცი"-ს ელექტრონული ვერსიის პრეზენტაცია შემოგვთავაზეს. ღონისძიებამ საინტერესოდ ჩაიარა, ელექტრონული ვერსია მართლაც ნოვაცია გახლავთ ქალაქის საგანმანათლებლო მასშტაბით და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

16. **3 მაისს-** ვ.გუნიას სახელობის პროფესიულ თეატრში ჩატარდა ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური საბალეტო სკოლის კონცერტი.

17. 4 მაისს- ქალაქ ფოთის ვ.გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრის ფოიეში სამხატვრო სასწავლებელის კურსდამთავრებულთა შემაჯამებელი ნაშრომების დაცვა გაიმართა.

18. **8 მაისს**-ქალაქ ფოთის ვ.გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრში ჩატარდა ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ ,,ხორუმი"- ს საიუბილეო კონცერტი.

19. **11 მაისს**- ქალაქ ფოთის რკინიგზის სადგურის დარბაზში სახელოვნებო ცენტრთან არსებული სამხატვრო სასწავლებლის ორგანიზებით სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგთა ჯგუფური გამოფენა მოეწყო, რომელმაც დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

20. **27 მაისს**- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, კოლხური კულტურის მუზეუმში აქცია - „ღამე მუზეუმში" გაიმართა. აქციის ფარგლებში, საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმი, დამთვალიერებელს სრულიად უფასოდ მასპინძლობდა.

21. **29 მაისს** -ჩატარდა სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი ,,ეტალონი- 2017",
პროექტი მიზანია: ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათი განათლების მიღების მოტივირება. ფოთის „ეტალონი" მოსწავლის ტიტულის მოსაპოვებლად 67 მოსწავლე იბრძოდა. „ეტალონი მოსწავლის" ტიტულის მფლობელი ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლის მოსწავლე ვალერი ყუფუნია გახდა, რომელმაც ბათუმში გამართულ ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატის ფინალში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიების დასასრულს, ყველა მონაწილეს გადაეცა სამახსოვრო სიგელი.

22. **6 ივნისს**, ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ფოთის მხატვართა კავშირის მიერ მოეწყო საგაზაფხულო გამოფენა, რომელსაც ქალაქის თვითმმართველობა და სხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

23. **14 ივნისს,** სამსახურის ორგანიზებით 14 ივნისს ფოთში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე აღინიშნა. ფოთის საკათედრო ტაძარში კოალიცია ,,სოციალური რეფორმებისათვის " შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ბავშვებისთვის ჯანმრთელობის პარაკლისი ჩატარდა,რომელსაც კოალიცია „სოციალური რეფორმებისათვის" დამფუძნებელი თამარ ფოფხაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დღის

ბოლოს ცენტრალურ პარკის ტერიტორიაზე სპეციალურად პატარებისთვის ღონისძიება მოეწყო.

24. 26 ივნისს -ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა (სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან ღვინჯილია), დაარსებიდან 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით კონცერტი გამართა.დამსწრე საზოგადოების წინაშე ანსამბლმა წარადგინა ქართულ-აფხაზური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები. ღონისძიებაში მონაწილეობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი, საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანი. ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

25. 27 ივნისს, ფოთის მუნიციპალიტეტში „მდგრადი ენერგეტიკის კვირეული 2017“-ის ფარგლებში ღონისძიება გაიმართა. მასში მონაწილეობა მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის კოლქტივებმა მიიღეს. ღონისძიებაზე საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ ისაუბრეს. „მდგრადი ენერგეტიკის კვირეული 2017“ მერების შეთანხმების ფარგლებში იმართება. ფოთის მერების შეთანხმებას 2012 წლიდან შეუერთდა. შეთანხმება ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივაა და იგი აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას გაზარდონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე.შეთანხმების ხელმომწერნი მიზნად ისახავენ 2020 წლისათვის შეამცირონ CO2-ის ემისიები მინიმუმ 20%-ით და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ მწვანე ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში.ღონისძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში“ გაიმართა.

26. 30 ივნისს - ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში ჩატარდა ჯანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სტუდიის ანსამბლ „ლაზიკას“ საიუბილეო კონცერტი.

27. 3 ივლისს - ფოთში ფოლკლორის საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალი „კავკასია 2017“ ჩატარდა.აღნიშნულ ფესტივალში საქართველოს სხვადასხვა ქორეოგრაფიულ ანსამბლთან ერთად ლატვიის, უკრაინის, რუსეთის, თურქეთის და სომხეთის ანსამბლები იღებდა მონაწილეობას. საერთაშორისო ფოლკლორის საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალი ''კავკასია'' საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის და საქართველოს პროფესიულ-კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედებითი კავშირის ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება.

28. 7 ივლისს -ა(ა)იპ კავშირი „პოეზიის მეგობართა კლუბის“ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ჩვენი ქალაქის მოსწავლე–ახალგაზრდობის და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით განხორციელდა პროექტი „ცოცხალი წიგნები''. ქალაქს სტუმრობდნენ სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსებისა და ფესტივალების ლაურეატი პოეტები და მწერლები.

29. 9 ივლისს - მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლის ,,ფაზისი" სამხატვრო ხელმძღვანელის ბატონ ახმედ ამბალიას ვარსკვლავი გაიხსნა და აღინიშნა ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში ილიკო სუხიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სტუდიის 40 წლის იუბილე.

30. 21-30 ივლისს - რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალი 2017" ჩატარდა. მასში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის თეატრები და უცხოეთიდან მოწვეული ხუთი დასი მონაწილეობდა. ღონისძიების ფარგლებში 24 სპექტაკლი იყო წარმოდგენილი.ფესტივალის ფარგლებში ვორქ-შოპები და მასტერკლასები გაიმართა. ასევე ჩატარდა საერთაშორისო თეატრალური სემინარი, სახელწოდებით ,,თეატრის მართვა და თანამედროვეობა". ფოთის რეგიონული თეატრების ფესტივალი წელს მესამედ ჩატარდა.

31. 31 ივლისს - ფოთში რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ხელოვნების სკვერში გამოჩენილი ფოთელი მსახიობის, გურამ ფირცხალავას ბიუსტი გაიხსნა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, გარდაცვლილი მსახიობის ოჯახის წევრები , მისი მეგობრები და კოლეგები ესწრებოდნენ.

32. 31 ივლისს- ფოთის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, აწყურისა და ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები დააბრძანეს. ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტმა გრიგოლმა სავედრებელი ლოცვა აღასრულა. ხატები საკათედრო ტაძარში ერთი კვირის განმავლობაში იყო დაბრძანებული. მრევლს საშუალება მიეცა მოელოცა სიწმინდეები და დასწრებოდა ყოველდღიურ ლიტურგიას.ცენტრალური ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში 31 ივლისიდან 4 აგვისტომდე საინფორმაციო-საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრები მოეწყო, რომელსაც ქალაქის ყველა მოქმედი ტაძრის მრევლი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდა.აწყურისა და ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატების მოსალოცად მოგზაურობა საქართველოს რეგიონებში 28 მაისიდან დაიწყო.

33. **5 აგვისტოსს**- ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში მუსიკალური ბენდი ,,ზარზმას" სოლო კონცერტი ჩატარდა.

34. **15 სექტემბერს** - ქალაქ ფოთის ცენტრალურ პარკში საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსის ორგანიზებით და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ჩატარდა ,,სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული ფესტივალი". ფესტივალის ფარგლებში მოეწყო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.წარმოდგენილი იქნა ეკოლოგიურად სუფთა ხის პროდუქცია, ტრადიციულ მოტივებზე შექმნილი ნივთები, ხელნაკეთი მისალოცი ბარათები, ნატურალური და ლაბორატორიულად შემოწმებული საკვები, წნული კალათები და ა.შ. დღის ბოლოს გაიმართა ახალგაზრდული კონცერტი ადგილობრივი ახალგაზრდა შემსრულებლების მონაწილეობით.

35. 22 სექტემბერს - საქართველოს სახალხო არტისტის, ღვაწლმოსილ მსახიობ -ლეო ანთაძის დაბადებიდან 85, სასცენო მოღვაწეობიდან კი 62 წლის აღსანიშნავი საიუბილეო შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

36. 5 ნოემბერს - ფოთში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ხელოვნების მე-5 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი "ფაზისი" ჩატარდა და მასში 8 ქვეყნის 30 შემოქმედებითი ჯგუფი მონაწილეობდა. „ფესტივალის მონაწილეებს როგორც ქართველი, ასევე სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული კომპეტენტური ჟიური აფასებდა. ხელოვნების მე-5

საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „ფაზისი“ სამდღიანი იყო და 6 ნოემბერს საზეიმოდ დაიხურა.

37. 8 ნოემბერს - ფოთის საკათედრო ტაძარში ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები დააბრძანეს.ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო ლოცვა აღავლინა. ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ინდოეთიდან საქართველოში 23 სექტემბერს ჩამოაბრძანეს. წმინდა ნაწილები საქართველოში 6 თვის მანძილზე დარჩება და სხვადასხვა ეპარქიას მოივლის.

38. **22 ნოემბერს** - ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ესეების კონკურსში ,,ნიკო ნიკოლაძე, ეროვნული/ევროპული ღირებულებები'' მონაწილე მოსწავლეებისა და მასწავლებლეებისათვის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან სამუშაო შეხვედრა. უნივერსიტეტის დოქტორმა მარინა ლომოურმა და ფილოსოფიის დოქტორანტმა გიორგი გრიგოლაშვილმა დამსწრეთ გააცნეს აკადემიური ესეს წერის მოთხოვნები და წესები.შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სამსახური მადლობას უხდის თსუ საბავშვო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შინაარსიანი და საინტერესო ღონისძიებისათვის.

39. 3 დეკემბერს-სახელოვნებო ცენტრის დარბაზში შშმ ბავშვთა ,,დღის ცენტრის'', კულტურის სამსახურისა და სახელოვნებო ცენტრის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება.

40. 8 დეკემბერს- შშმ ბავშვთა ,,დღის ცენტრის'' ბავშვებისათვის სახელოვნებო ცენტრის დარბაზში გაიმართა თოჯინური სპექტაკლის პრემიერა „ნატვრის ახდენა“.

კულტურის სფეროს ააიპ

1. თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საბიბლიოთეკო გაერთიანება, გაერთიანება მოიცავს 4 ფილიალს.
   ბიუჯეტი -123 500 ათასი ლარი.
   თანამშრომელთა რაოდენობა --24

2. თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებელი.
   ბიუჯეტი -200 000 ათასი ლარი
   თანამშრომელთა რაოდენობა - 44
   მოსწავლეთა რაოდენობა --415

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრი (მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი, ფოლკლორის ცენტრი, ოტია ჯაიანის სახელობის საბავშვო სამხატვრო სკოლა, სკოლისგარეშე სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი, საგამოფენო დარბაზი)
   ბიუჯეტი - 535 400 ათასი ლარი
   თანამშრომელთა რაოდენობა -132
   მოსწავლეთა რაოდენობა --900

დ) **ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება,** რომელიც მოიცავს 15 სკოლამდელ დაწესებულებას. დაწესებულება ეწევა 2150 აღსაზრდელის .

მომსახურებას. 2017 წელს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო **2 170.0 ლარი .** მათ შორის კვებაზე გამოყოფილია **470.0 ლარი.** ყველა სკ/ს დაწესებულებაში განხორციელდა მოწმენდითი, მოცელვითი სამუშაოები ს/ბაღის ეზოები შეივსო ნარგავებით, ეკალ-ბარდებისაგან გაიწმინდა #7, #12, და #16 2016-2017 წელს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდათ: N5, N8, N10, N12, N16, N17 სკ/დდაცესებულებას.პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა ტრეინინგი-სასკოლო მზაობის პროგრამის მიხედვით. ყველა სკოლამდელ დაწესებულებას ჰყავს ლოგოპედი და ფსიქოლოგი.

დღეს სკოლამდელ განათლებას არეგულირებს კანონი და სახელმწიფომ აიღო ვალდებულება ხელი შეუწყოს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, განათლებას, საყოველთაო მომსახურების ხელმისაწვდომობას, ხარისხის უზრუნველყოფას;კანონით რეგულირდება ბავშვის ასაკი, მისი უფლებები,კვება,ჰიგიენა, საკადრო ადამიანური რესურსი, პროგრამის ხარისხი, აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული სტანდარტი. წელს სრულფასოვნად გაიარა სკოლისათვის მზაობა 23 ასაკობრივმა ჯგუფმა 524 აღსაზრდელით, რომელშიც ჩართული იყო გაერთიანება, ს/ბაღის გამგეები,აღმზრდელები, მუსიკის მასწავლებლები, ფსიქოლოგ-ლოგოპედები; სისტემატიურად ხდება მშობლის ინფორმირება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ეროვნული სტრატეგიისა და სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართ არსებული ხედვის რეალობაში განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სკ/განათლების მომსახურეობის მაღალ დონეზე რეგულირებული მეთოდებით და სტანდარტებით. 15 სკ/დაწესებულებაში მუშაობა მიმდინარეობს ახლებურად, ახალი სასწავლო-სააღმზრდელო და სასკოლო მზაობის პროგრამის მიხედვით, ინერგება მმართველობის დემოკრატიული სტილი, 575 აღსაზრდელი მზადაა გახდეს მომავალი პირველკლასელი. უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე დგანან სკოლამდელი დაწესებულების მუშაკები,უახლოეს პერიოდში დაიწყება სკოლამდელ დაწესებულებათა ავტორიზაცია, რომლის პირობები ეფუძვნება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონსა და ინფრასტრუქტურას, შენობა-ნაგებობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობას, ადრეული ასაკის განათლების და განვითარების რეგლამენტს, აღმზრდელ პედაგოგისა და აღმზრდელის პროფესიულ სტანდარტებს. ავტორიზაცია ჩატარდება ეტაპობრივად, რომელიც დეტალურად ასახავს თითოეული სკოლამდელ დაწესებულებაში არსებულ ვითარებას. პარალელურად გატარდება ღონისძიებები მდგომარეობის გასაუჯობესებლად.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2017 წელს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს ქალაქის ბიუჯეტის ფორმირების შედეგად სპორტული და ახალგაზრდული ღონისძებების დასაფინანსებლად დაუმტკიცდა თანხა **92 100 ლარის** ოდენობით (2017 წლის ბიუჯეტი 80 500 ლარი, 2016 წლის გარდამავალი 11 600 ლარი)

მათ შორის სპორტული ღონისძიებებისთვის – 32 500 ლარი.

ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებებისთვის – 11 000 ლარი.

სხვა გაუთვალისწინებელი სპორტული ღონისძიებებისთვის - 6 000 ლარი.

წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების პრემიალური ხარჯები-16 000 ლარი.

საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოება - 15 000 ლარი.

ფაქტიურმა დანახარჯმა შეადგინა --74 200 ლარი

სამსახურის მიერ სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ძირითადად დაგეგმილი იქნა თებერვლიდან დეკემბრის ჩათვლით. სულ ჩატარდა - 19 **ღონისძიება,** სხვა გაუთვალისწინებელი სპორტული ღონისძიებიდან - **3,** ,,ახალგაზრდული ფესტივალი-2017-ის CYNC-სპორტი ბარიერის გარეშე" პროგრამით გათვალისწინებული ქ. ფოთის პირველობა მინი ფეხბურთში და მინი კალათბურთში, ქალაქ ფოთის ღია პირველობა ცხენოსნობაში ვალიკო მაქაცარიას თასზე.

სამსახურმა შრომა გასწია სხვადასხვა ღონისძიებების მოსამზადებლად, მობილიზებული იყვნენ შესაბამისი სახეობების სასპორტო სკოლების წარმომადგენლები და სპორტის სპეციალისტები, რომლებთანაც ერთად შემუშავდა ჩასატარებელი სპორტული ღონისძიებების გეგმა-გრაფიკები.

კერძოდ სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით დაიგეგმა და ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. 27 თებერვალი - 1 მარტს, 9 აპრილის ხეივანი N11 გაიმართა ფოთის ინელექტუალური თამაშების ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო 11 საჯარო სკოლისა და 2 კერძო **სკოლის 120 მოსწავლემ.** ფესტივალი 3 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები: მესამე ადგილზე მე-2 საჯარო სკოლა გავიდა, მეორე ადგილის მფლობელი N 1 საჯარო სკოლა გახდა, ხოლო პირველი ადგილი მე-15 საჯარო სკოლის გუნდმა მოიპოვა, რომელსაც წიგნის მაღაზიის 1000 ლარიანი ვაუჩერი გადაეცა, ხოლო ფესტივალის საუკეთესო მოთამაშეს მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეს გურამ მეგრელიშვილს - პლანშეტური კომპიუტერი.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება - 4 200 ლარი

2. 4 მარტს, 9 აპრილის ხეივანი N11 ჩატარდა ღონისძიება ,,სტუდენტები აბიტურიენტებისთვის". 10 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელმა ფოთელ აბიტურიენტებს გააცნეს თავიანთი სასწავლო პროგრამების შესახებ. შეხვედრას **150-მდე აბიტურიენტი დაესწრო.**

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება --1 300 ლარი.

3. 1-30 მარტის ჩათვლით ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2000-2001 წლებში დაბადებულ საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის 5 სხვადასხვა სახეობაში: მინი კალათბურთში (გოგონები და ვაჟები), ხელბურთში (გოგონები და ვაჟები), მხიარული სტარტები (გოგონები, ვაჟები), გეზრბენში (გოგონები და ვაჟები) 800-1000 მ. დისტანციაზე და მინი ფეხბურთში (ვაჟები).
მათ შორის:

ა) საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ქალაქ ფოთის პირველობები საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის მხიარული სტარტებში. მხიარული სტარტები - 1-2 მარტი, მონაწილეობდა 12 საჯარო სკოლა, **144 მოსწავლე.** მხიარულ სტარტებში პირველი ადგილი და რეგიონალურ პირველობებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა მე-5 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (სპორტის მასწავლებლები დარეჯან რუხაძე, ზვიად ნოდია და ავთანდილ კუჭავა) მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა მე-3 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებელი ლორენა ალანია და ნათია დუდუჩავა), მესამე ადგილი მოიპოვა მე-2

საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები დარეჯან გეგეშიძე, ირინა ჩარგაზია და გრიგოლ ძაგანია).

ბ) მინი კალათბურთი (3X3) – 9-10 მარტი, მონაწილეობდა 12 საჯარო სკოლა, **96 მოსწავლე.** მინი კალათბურთში (3X3) ვაჟთა შორის I ადგილი და რეგიონალურ პირველობებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა N5 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (სპორტის მასწავლებლები დარეჯან რუხაძე, ზვიად ნოდია და ავთანდილ კუჭავა), მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს N15 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (სპორტის მასწავლებლები ლამზირა კუცია და გივი ცხომარია), ხოლო მესამე ადგილზე გავიდნენ N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები (სპორტის მასწავლებლები დარეჯან გეგეშიძე, ირინა ჩარგაზია და გრიგოლ ძაგანია). რაც შეეხება გოგონათა ასპარეზობას, გამარჯვებული გახდა N15 საჯარო სკოლის გოგონები (სპორტის მასწავლებლები ლამზირა კუცია და გივი ცხომარია) და მათ რეგიონალურ პირველობებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მეორე ადგილზე გავიდნენ N11 საჯარო სკოლის მოსწავლეები (სპორტის მასწავლებელი ლალი ქოიავა), ხოლო მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვეს N3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (სპორტის მასწავლებლები ლორენა ალანია და ნათია დუდუჩავა).

გ) ხელბურთი - 16-17 მარტი, მონაწილეობდა 12 საჯარო სკოლა, **288 მოსწავლე.**
ხელბურთში ვაჟთა შორის პირველი ადგილი და რეგიონალურ პირველობებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა N2 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები დარეჯან გეფერიძე და ირინა ჩარგაზია), მეორე საპრიზო ადგილი - N5 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები დარეჯან რუხაძე, ზვიად ნოდია და ავთანდილ კუჭავა), მესამე საპრიზო ადგილი - N15 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები ლამზირა კუცია და გივი ცხომარია). გოგონათა ასპარეზობაზე გამარჯვება და რეგიონალურ პირველობებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა N2 საჯარო სკოლამ, მეორე საპრიზო ადგილი - N3 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები ლორენა ალანია და ნათია დუდუჩავა), ხოლო მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა N8 საჯარო სკოლას (სპორტის მასწავლებელი ნაზი ჟღენტი). გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, დიპლომებითა და მედლებით.

დ) გეზრბენი - 24 მარტი, მონაწილეობდა 12 საჯარო სკოლა, **96 მოსწავლე.**
გეზრბენში ვაჟების ასპარეზობაზე პირველი ადგილი და რეგიონალურ ასპარეზობაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა N6 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებელი მალხაზ კუხიანიძე), მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა N1 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებელი თენგიზ აფხაზავა), მესამე საპრიზო ადგილი - N4 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები: მარინა ტყებუჩავა და თამარ ბახტაძე). გოგონათა ასპარეზობაზე გამარჯვება და რეგიონალურ პირველობაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა N4 საჯარო სკოლამ, მეორე საპრიზო ადგილი - N5 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები დარეჯან რუხაძე, ზვიად ნოდია და ავთანდილ კუჭუა), მესამე საპრიზო ადგილი - N7 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები თეონა სულამანიძე და მურთაზ ყორშია).

ე) მინი ფეხბურთი - 28-29 მარტი, მონაწილეობდა 12 საჯარო სკოლა, 840 მოსწავლე.

მინი ფეხბურთში ვაჟებს შორის გამარჯვება და რეგიონალურ პირველობაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა N15 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები ლამზირა კუცია და გივი ცხომარია), მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა N2 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებელი გრიგოლ ძაგანია), მესამე საპრიზო ადგილი - N6 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებელი მალხაზ კუხიანიძე). გოგონებს შორის I ადგილი და რეგიონალურ პირველობაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა N5 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებელი ზვიად ნოდია), მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა N7 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებელი მურთაზ კორშია), მესამე საპრიზო ადგილი - N11 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებელი ლალი ქოიავამ).

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება-- 5 300 ლარი.

4. 5 აპრილს ჩატარდა ,,ფოთის მოხალისე". კონკურსის წესით შეირჩა **40 ახალგაზრდა,** რომლებსაც გადაეცათ ბრენდირებული მაისური, კეპი, ჩანთა და სამაჯური. ახალგაზრდები მოხალისეობრივად ჩაერთვებიან ქალაქის საზოგადოებრივ აქტივობებში.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება-2 500 ლარი.

5. 9 აპრილს საკალათბურთო დარბაზში ჩატარდა რეგიონალური სასკოლო ოლიმპიადა მინი კალათბურთში 3X3 გოგონები, ვაჟები საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის. მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტებსა და გამგეობებში გამარჯვებულმა საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა. სულ **68 მონაწილემ.** გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, თასებითა და მედლები. მონაწილეობდნენ: ხობის N 1 საჯარო სკოლა (ვაჟები); ხობის ახალი ხიბულის N1 საჯარო სკოლა (გოგონები), ზუგდიდის თემის რიყის საჯარო სკოლა (ვაჟები), ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა (ვაჟები), ზუგდიდის მ.კოსტავას სახელობის N2 საჯარო სკოლა (გოგონები), ზუგდიდის ურთის საჯარო სკოლა (გოგონები), სენაკის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლა (ვაჟები), სენაკის N1 საჯარო სკოლა (გოგონები), მარტვილის ,,სხივის" საჯარო სკოლა (ვაჟები), მარტვილის ლეხაინდრაოს საჯარო სკოლა (გოგონები), წალენჯიხის ,,ჯვარის" N3 საჯარო სკოლა (ვაჟები), წალენჯიხის ჯვარის N1 საჯარო სკოლა (გოგონები), აბაშის N1 საჯარო სკოლა (ვაჟები), აბაშის N2 საჯარო სკოლა (გოგონები), ჩხოროწყუს ,,ზუმის" საჯარო სკოლა (გოგონები), ფოთის N5 საჯარო სკოლა (ვაჟები), ფოთის N15 საჯარო სკოლა (გოგონები).

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება-- 1000 ლარი.

6. რეგიონალურ და ზონალურ პირველობებზე წარმატებით იასპარეზეს N6 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გეზრბენში (სპორტის მასწავლებელი მალხაზ კუხიანიძე) და N2 საკარო სკოლის მოსწავლეებმა ხელბურთში (გოგონები, ვაჟები). N2 საჯარო სკოლის ხელბურთელ გოგონათა გუნდმა (სპორტის მასწავლებლები დარეჯან გეფერიძე და ირინა ჩარგაზია) დასკვნით ფინალურ ეტაპზე გამარჯვება და საერთაშორისო ასპარეზობაზე მონაწილეობის მიღების უფლება მოიპოვა.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება--3000 ლარი.

7. 21-24 აპრილს გაიმართა ზურაბ სარსანიას სახელობის ტურნირი კრივში. ტურნირი ჩატარდა 19-23 აპრილს. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების კრივის სასპორტო სკოლებისა და კლუბების 2002-2003 წლებში დაბადებულმა **180 მოკრივემ.** მედლები გათამაშდა 18 წონით კატეგორიაში. გამარჯვებული მოკრივეები დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება--4600 ლარი.

8. 15-16 მაისს, ფოლკლორის ცენტრის დარბაზში ჩატარდა მოსწავლეთა დღეები. ქალაქ ფოთის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნომრები შემდეგ ნომინაციებში: საუკეთესო მუსიკალური ნომერი, საუკეთესო ცეკვის ნომერი, საუკეთესო მხატვრული კითხვის ნომერი და საუკეთესო ნახატი. მონაწილეობდა **100-მდე მოსწავლე.** გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სადგამი დიპლომებით.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება-- 2600 ლარი.

9. ქალაქ ფოთის ღია პირველობა თავისუფალ და ბერძნულ ჭიდაობაში ჩატარდა 20-21 მაისს. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების 1998-99, 2000-2001, 2002-2003, 2004-2005-2006 წ.წ. დაბადებულმა **170** მოჭიდავემ. მედლები გათამაშდა თავისუფალ ჭიდაობაში **12 წონით კატეგორიაში.** გამარჯვებული მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება--3400 ლარი.

10. ვიქტორ კრატასიუკის სახელობის საერთაშორისო რეგატა საბაიდარო და კანოეთ ნიჩბოსნობაში და ქალაქ ფოთის საერთაშორისო რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში ჩატარდა 24-26 მაისს, მდინარე კაპარჭაზე. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ქალაქების ნაკრებმა გუნდებმა, აგრეთვე აზერბაიჯანის როგორც საბაიდარო და კანოეთ და აკადემიური ნიჩბოსნობის 2000-2002, 2003-2004 წლებში დაბადებულმა **130 ნიჩბოსანმა** 200 მ, 500 მ და 1000 მ დისტანციაზე. გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით და გამარჯვებულ გუნდს კანოეთ და საბაიდარო ნოჩბოსნობაში გადაეცა ვიქტორ კრატასიუკის სახელობის თასი.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება--5100 ლარი.

11. ქ.ფოთის ღია პირველობა წყალსათხილამურო სპორტში ჩატარდა 26-27 აგვისტოს, მალთაყვაში ,,ოქროს ტბაზე'' და მასში მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და ფოთის გოგონათა და ვაჟთა სასპორტო სკოლების **54 მოზარდმა.** პირველობა ჩატარდა და მედლები გათამაშდა 2 სახეობაში - სლალომი და ფიგურული სრიალი. გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებითა და თასებით.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება--1400 ლარი.

12. ქალაქ ფოთის პირველობა პლაჟის ფეხბურთში ჩატარდა 16-17 სექტემბერს მალთაყვის პლაჟზე. მასში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, აგრეთვე ზუგდიდის, სენაკისა და ხობის ნაკრებმა გუნდებმა. სულ **80 ფეხბურთელი.** პირველობა ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება-- 1400 ლარი.

13. 22-23 სექტემბერს საკალათბურთო დარბაზში ჩატარდა ქალაქ ფოთის ღია პირველობა ზურაბ ტუღუშის თასის გათამაშება ჭიდაობაში (სამბო). მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების 2000-2003 წლებში დაბადებულმა **90 მოჭიდავემ.** მედლები გათამაშდა 12 წონით კატეგორიაში. გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით, აგრეთვე საუკეთესო სპორტსმენს გადაეცა ზურაბ ტუღუშის თასი.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება--2600 ლარი.

14. ვაინარ სუხიშვილის სახელობის ტურნირი კალათბურთში ჩატარდა 6-7-8 ოქტომბერს. მასში მონაწილეობა მიიღეს ქალაქების: ქუთაისის, ოზერგეთის, სენაკისა და ფოთის 2005-

2006 წლებში დაბადებულმა **48 კალათბურთელმა.** ტურნირი ჩატარდა წრიული სისტემით. საპრიზო ადგილებზე გასული კალათბურთელები და გუნდები დაჯილდოვდნენ მედლებითა და თასებით. აგრეთვე გამარჯვებულ გუნდს გადაეცა ვაინარ სუხიშვილის სახელობის თასი.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება--1500 ლარი.

15. ქალაქ ფოთის ღია პირველობა თენგიზ ბარამიძის თასზე ,,ჩქაროსნულ ბლიც '' 64 უჯრიან შაშში ჩატარდა 14 ოქტომბერს ნანა ალექსანდრიას სახელობის ჭადრაკისა და შაშის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში. მონაწილეობა მიიღეს როგორც ვეტერანმა მოშაშეებმა, ასევე საჯარო სკოლის მოსწავლე ვაჟებმა და გოგონებმა. სულ **96 მონაწილე.** საპრიზო ადგილზე გასული მოშაშეები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, თასებითა და მედლებით. აგრეთვე გამარჯვებულს გადაეცა თენგიზ ბარამიძის სახელობის თასი.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება--1500 ლარი.

სხვა გაუთვალისწინებელი სპორტული ღონისძიებების მუხლიდან ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

16. ,,ახალგაზრდული ფესტივალი-2017-ის CYNC-სპორტი ბარიერის გარეშე" პროგრამით გათვალისწინებული ქ. ფოთის პირველობა მინი ფეხბურთში და მინი კალათბურთში ჩატარდა 1-2 ივნისს საკალათბურთო დარბაზში და ცენტრალურ სტადიონზე, სადაც მონაწილეობა მიიღო **144 მოსწავლემ** (ვაჟები, გოგონები). გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და მედლებით, ხოლო გამარჯვებული გუნდები - თასებითა და დიპლომებით. გამარჯვებულმა N4 და N2 საჯარო სკოლებმა მონაწილეობა მიიღეს რეგიონალურ პირველობაზე.

17. 19-20 ივნისი -,,ახალგაზრდული ფესტივალი-2017-ის CYNC-სპორტი ბარიერის გარეშე" პროგრამით გათვალისწინებული რეგიონალური პირველობებისათვის მინი ფეხბურთში და მინი კალათბურთში (3X3) მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის

18. ქ. ფოთის ღია პირველობა ცხენოსნობაში ვალერიან მაქაცარიას თასზე ჩატარდა 15 ოქტომბერს ცხენოსნობის სასპორტო სკოლაში ,,იპოდრომი". მასში მონაწილეობა მიიღეს ქალაქებისა და რაიონების ცხენოსნობის სასპორტო სკოლის **43 მხედარმა.** გამარჯვებული მხედრები დაჯილდოდვნენ დიპლომებით, თასებითა და მედლებით. აგრეთვე გადაეცათ ვალერიან მაქაცარიას თასი.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება--5300 ლარი.

წარმატებული სპორტსმენებსა და მწვრთნელებს, 2017 წელს მიღწეული შედეგისათვის გადაეცათ პრემიალური თანხები:

1.ვაჟ ხელბურთელთა გუნდი ,,ოქროს ვერძი" - საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (ქ.თბილისი) II ადგილი (1600 ლარი) - მწვრთნელი - თემურ ჭანტურია (800 ლარი).
2.საქართველოს ღია ეროვნული ჩემპიონატი ჭიდაობა ,,სამბო" (ქ. თბილისი)

ნიკო კუცია (82 კგ) I ადგილი **(500 ლარი)** , მწვრთნელი -ზურაბ ტუღუში **(250 ლარი).**
3.საქართველოს ღია ეროვნული ჩემპიონატი ჭიდაობა ,,სამბო" (ქ. თბილისი)
გივი ნადარეიშვილი (52 კგ) I ადგილი **(500 ლარი)** , მწვრთნელი -კონსტანტინე ხუბუტია (250 ლარი)
4.საქართველოს ღია ეროვნული ჩემპიონატი ,,მძლეოსნობაში" (ქ. თბილისი)
I ადგილი - საბა ხვიჩავა ,,1500 მ. რბენაში" **(500 ლარი),** მწვრთნელი- ჯეირან ხოფერია **(250 ლარი).**
5.საქართველოს ღია ეროვნული ჩემპიონატი კრივში (ქ. თბილისი) I ადგილი
იაგო კიზირია 82კგ. **(500 ლარი)** მწვრთნელი ვლადიმერ ჭანტურია **(250ლარი).**
6.ხელბურთელთა გუნდი ,,ოქროს ვერძი" გოგონები, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (ქ.თბილისი) - I ადგილი **(2000 ლარი),** მწვრთნელი - თემურ ჭანტურია **(1000 ლარი).**
7. ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობა ,,სამბო" (ბელორუსია ქ. მინსკი),
III ადგილი- ნიკო კუცია (82 კგ) **(1000 ლარი),** მწვრთნელი -ზურაბ ტუღუში.
(500 ლარი.)
8.ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები), ჭიდაობა ,,სამბო" (ჩეხეთი ქ. პრაღა)
II ადგილი- ირაკლი შეყილაძე (52 კგ)- **(1000 ლარი),** მწვრთნელი ლევან გვასალია.
(500ლარი)
9.ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები), ჭიდაობა ,,სამბო" (ჩეხეთი ქ. პრაღა)
II ადგილი- ოთარ ოჩიგავა (48 კგ)-**(1000 ლარი),** მწვრთნელი კონსტანტინე ხუბუტია **(500 ლარი).**
10. მსოფლიო ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში ღია ასაკობრივ ჯგუფში
(ქ. თბილისი) I ადგილი - დავით გულუა (82,5კგ.)- **(1500 ლარი)**
11.მსოფლიო ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში ღია ასაკობრივ ჯგუფში
(ქ. თბილისი) I ადგილი - ლევან გორგოძე (125კგ.)-(1500 ლარი)

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება--15900 ლარი.

27 დეკემბერს ჩატარდა წლის საუკეთესო სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი, სადაც დაჯილდოვდა **10 საუკეთესო სპორტსმენი** და მწვრთნელი. აგრეთვე დაჯილდოვდნენ ის სპორტსმენი ნომინანტები, რომლებიც მოკრძალებული შედეგების გამო ვერ მოხვდნენ საუკეთესო 10 სპორტსმენს შორის. სადგამი დიპლომები გადაეცათ ვეტერან და იუბილარ სპორტსმენებს, წარმატებულ ახალგაზრდებსა და სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებულ გუნდებს.

2017 წლის ბიუჯეტით ფაქტიური შესრულება--11600 ლარი.

ქ.ფოთის მუნიპილატიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღო საქალაქო და რესპუბლიკურ პროექტებსა და ღონისძიებებში:
1. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განახორციელა მოხალისეთა განვითარების პროგრამა ,,საქართველოს მოხალისე", რომლის მიზანი იყო მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერება, ახალგაზრდებში პატრიოტული და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.

2. 22 სექტემბერს ბორჯომში ჯომარდობაში საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა.საკვალიფიკაციო ეტაპში საქართველოს რეგიონებიდან 22

გუნდი იყო წარმოდგენილი.მათ შორის იყო ქალაქ ფოთის გუნდი, რომელმაც შანსი არ დაუტოვა მოწინააღმდეგეებს და სუპერფინალში გამარჯვება მოიპოვა.

3. მიმდინარე წლის 7-8 ოქტომბერს ქ. ფოთში რაგბის სასპორტო სკოლის სტადიონზე და მალთაყვის სანაპიროზე საქართველოს ეროვნულმა ფედერაციამ ,,სპორტი ყველასათვის" ჩაატარა ქალაქ ფოთის პირველობა მინი ფეხბურთში 2004-2006 წ.წ. დაბადებულ საჯარო სკოლების მოსწავლე გოგონათა და ვაჟთა შორის და რეგიონალური პირველობა მძლეოსნობაში სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის მაია აზარაშვილის თასზე. მინი ფეხბურთში მონაწილეობას ღებულობდნენ N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8,N11, N13, N15, N21 საჯარო სკოლების, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგასსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის და შპს ,,თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა - გიმნაზიის" ნაკრები გუნდები. ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა N3 საჯარო სკოლამ, II ადგილი მოიპოვა N15 საჯარო სკოლამ, ხოლო III საპრიზო ადგილზე გავიდა N2 საჯარო სკოლა. გოგონათა ასპარეზობაში გამარჯვება მოიპოვა N4 საჯარო სკოლამ, II ადგილზე გავიდა N7 საჯარო სკოლა, III ადგილი მოიპოვა N5 საჯარო სკოლამ.მძლეოსნობის ასპარეზობაში, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდისა და ფოთის ვაჟთა და გოგონათა ნაკრები გუნდები. მედლები გათამაშდა 500 მ., 1000 მ., 2000 მ. დისტანციებზე. 500 მ. დისტანციაზე ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა ნიკო ჩაგანავამ 1000 მ. დისტანციაზე ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა დათო გოგიამ 2000 მ. დისტანციაზე ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა საბა ხვიჩავამ, II ადგილი - გიგა ჟვანიამ, II ადგილი - ვაჟა ძაგანიამ1000 მ. დისტანციაზე გოგონათა შორის გამარჯვება მოიპოვა ნინო მიქავამ.

4. საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა ,,მოყვარულთა თასი 2017"-ის გათამაშება სამოყვარულო ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ფოთის **4 გუნდი.** გამარჯვებული გახდა ფოთის ,,ჭაბონამა", რომელმაც რეგიონალურ, ზონალურ და დასკვნით პირველობებზე წარმატებით იასპარეზა და მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული. ,,ჭაბონამა" 2018 წელს გაემგზავრება სერბეთში საერთაშორისო პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად სამოყვარულო გუნდებს შორის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს ქალაქში საფუძველი ჩაეყარა ძალოსნობის სექციას, რომელიც მდებარეობს დავით აღმაშენებლის ქუჩა N12-ში (N4 საჯარო სკოლის გაზაზე). ძალოსნობის დარბაზი კეთილმოწყობილია ინვენტარით, რომელიც საჩუქრად ქალაქს გადმოსცა საქართველოს ძალოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ. სექციაში ამჟამად მეცადინეობს 30 მოზარდი.

სპორტის სფეროს ა(ა)იპ

ა) **ქალაქ ფოთის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება** (საცხენოსნო სკოლა, კომპლექსური სასპორტო სკოლა, ფეხბურთის სასპორტო სკოლა, ჭადრაკის სასპორტო სკოლა, კანოეს სასპორტო სკოლა, წყლის სახეობების კომპლექსური სასპორტო სკოლა, ნიჩბოსნობის კომპლექსური სასპორტო სკოლა, კრივის სასპორტო სკოლა „ლიდერი", კრივის სასპორტო სკოლა, აღმოსავლური ორთაბრძოლების სასპორტო სკოლა, ჭიდაობის კომპლექსური სასპორტო სკოლა)

ბიუჯეტი - 877 000

თანამშრომელთა რაოდენობა - 150

მოსწავლეთა რაოდენობა - 1241

ბ) **რაგბის სასპორტო სკოლა**
ბიუჯეტი - 113 700
თანამშრომელთა რაოდენობა - 13
მოსწავლეთა რაოდენობა - 208

გ) **ხელბურთის კლუბი ,,ოქროს ვერძი"**
ბიუჯეტი - 68 000
თანამშრომელთა რაოდენობა - 15
მოსწავლეთა რაოდენობა - 104

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2018 წლის 6 თვის ანგარიში

2018 წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ სამსახურს ქალაქის ბიუჯეტის ფორმირების შედეგად ღონისძებების დასაფინანსებლად დაუმტკიცდა თანხა 208 900 ლარის ოდენობით (2017 წლის გარდამავლი თანხა 24 900 ლარი)

2018 წლის 3 იანვარს - ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში ჩატარდა მუსიკალური სტუდია „ანა-ბანა"და სამეჯლისო- სპორტული ცეკვების სტუდია"მზის გულის" საანგარიშო კონცერტი;
2018 წლის 3 იანვარს - ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში გაიხსნა სახელოვნებო ცენტრის მოსწავლეების ნამუშევრების საახალწლო გამოფენა;
2018 წლის 4 იანვარს - ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვთა ცენტრის, შშმ ბავშვთა "დღის ცენტრის", დედ-მამით ობოლი, მრავალშვილიან და შეჭირვებულ ოჯახთა მოზარდებისა და მარტოხელა დედის შვილებისა და აღსაზრდელებისათვის ჩატარდა საახალწლო კონცერტი, ბავშვები დასაჩუქრდნენ საახალწლო ნუგბარით;
2018 წლის 5 იანვარს -ჩატარდა მუსიკალური სტუდია „ენკი-ბენკის" საანგარიშო კონცერტი
2018 წლის 7 იანვარს– შობის ბრწყინვალე დღესასწაული აღინიშნა ტრადიციულად ალილოთი, საზეიმო მსვლელობა, რომელშიც ფოთისა და ხობის ეპარქიის სამღვდელოება, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და მრევლი მონაწილეობდა, ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიიდან დაიწყო და საკათედრო ტაძართან დასრულდა.
2018 წლის 9 იანვარს -სამსახურმა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ა(ა)იპ კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის ფოთის შშმ ბავშვთა დღის ცენტრის აღსაზრდელები და პედაგოგები მოინახულა და პატარებს ტორტითა და საშობაო ნუგბარით ახალი წელი მიულოცა.
2018 წლის 14 იანვარს– ფოთში ქართული თეატრის დღე აღინიშნა. ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, წარმოადგინა აქვსენტი ცაგარელის სპექტაკლი ,,ხანუმა". ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ დღესთან დაკავშირებით, მსახიობებსა და ტექნიკურ პერსონალს სიგელები და ფულადი ჯილდო გადასცა.
2018 წლის 27-28 იანვარს-საკრებულოს სხდომათა დარბაზში, სამსახურის და არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ჯი ეი თის" ურთიერთანამშრომლობით გაიმართა ტრენინგი ,,დებატების ხელოვნება და ემოციური ინტელექტი". ტრენინგს ესწრებოდა ქალაქ ფოთის ყველა საჯარო და

კერძო სკოლის 80 მდე მოსწავლე. ტრენინგს ატარებდა CDSA-ს დამფუძნებელი მანჩო კობიძე. სატრენინგო თემამ ფოთელ ახალგაზრდებში დიდი ინტერესი გამოიწვია. შეხვედრები წარიმართა ინტერაქტიულ რეჟიმში. არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ჯი ეი თი" და მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური კიდევ არაერთ მსგავს პროექტს გეგმავს ფოთელი ახალგაზრდებისთვის.

2018 წლის 29 იანვარს- ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის, ქვეყნის უსაფრთხოებისა და განვითარების თემატიკის ირგვლივ ფოთის საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა შეხვედრა. სემინარი „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების" მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოეწყო და მას „საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის“ (GCSD) დირექტორის მოადგილე გიორგი გოგუაძე და „ევროკავშირის პროგრამების დირექტორი“ გოგიტა ღვედაშვილი უძღვებოდნენ.

2018 წლის 8 თებერვალს–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის ბიუსტთან, N 3 საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა, მოწვეულ სტუმრებთან ერთად შეამკეს ივანე ჯავახიშვილის ბიუსტი.

2018 წლის 14 თებერვალს– გაიმართა მხატვრული ფილმების „ხიბულასა“ და „გაღმა ნაპირის“ ჩვენება, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი კულტურის საკითხებში, მწერალი გურამ ოდიშარია, ფილმის რეჟისორი, მსახიობები ესწრებოდა.

2018 წლის 20 თებერვალს, საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ,,ოკუპაციის კვირეული“ გაიხსნა, ყველა საჯარო და კერძო სკოლებში ჩატარდა სიმამაცის გაკვეთილები.

,,ოკუპაციის კვირეულის'' ფარგლებში გაიხსნა აკაკი ჩხაიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნამუშევრების გამოფენა ,,ცრემლისა და ტკივილის დღე'', რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის თემას მიეძღვნა. კოლხური კულტურის მუზეუმში გაიხსნა საბჭოთა ოკუპაციისადმი მიძღვნილი ფოტო გამოფენა –-,,თოვდა და თბილისს ებურა თალხი“.

სამსახურის მოწვევით კოლხური კულტურის მუზეუმს სტუმრობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის -სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დავით სართანია, რომლებმაც ჩაატარეს საჯარო ლექციები

2018 წლის 21 თებერვალი- 1 მარტის ჩათვლით ქალაქ ფოთის მე-2 საჯარო სკოლის ხელბურთელ გოგონათა ნაკრებმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო კატარში ქალაქ დოჰაში გამართულ სასკოლო მსოფლიო ჩემპიონატზე ხელბურთში. მათ ეს საგზური სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში გამარჯვების შედეგად მოიპოვეს, რომელიც საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ ტარდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს გახლავთ ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ყველაზე მასშტაბური სპორტული პროგრამა, რომელიც 2015 წლიდან ხორციელდება და მასში მონაწილეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ,,ოლიმპიადა 2018''-ში საქართველოს 1700-ზე მეტი სკოლის 100 000-მდე მოსწავლე იღებს მონაწილეობას.

2018 წლის 24 თებერვალს–ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სახელოვნებო ცენტრის დარბაზში, საბჭოთა ოკუპაციის კვირეულის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული გმირის მარო მაყაშვილის და იუნკერების ხსოვნისადმი მიძღვნილი მუსიკალურ -ლიტერატურული კომპოზიცია-,,სამშობლოს სიყვარული უმაღლესია'' გაიმართა.

2018 წლის 25 თებერვალს– საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის თარიღთან დაკავშირებით, ქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის და საქართველოს იუსტიციის სახლის წინ ჩატარდა სახელმწიფო

დროშის დაშვების ცერემონიალი, რომელსაც ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. ფოთის მაცხოვრის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარში, დაღუპული იუნკერებისა და სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა.

2018 წლის 26 თებერვალს– ქალაქ ფოთის მერის მოადგილემ გიორგი ფარეშიშვილმა, ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში ჩაატარა საჯარო ლექცია–„ერთმორწმუნეობის სახელით“ შეკრებილი., ხოლო 2018 წლის 27 თებერვალს „ახალი საქართველოს უნივერსიტეტის“ საკონფერენციო დარბაზში „საქართველო და ქალაქი ფოთი 1918-1921 წლებში“, დამსწრეთ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი მიესალმა.

აქვე ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი საუკეთესო ესსეს ავტორები მერის სიგელითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ .

2018 წლის 1 მარტს–საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან არსებულმა სალონმა „გულის სამელნე“, ქართველი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების უკეთ გაცნობის მიზნით პირველი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინა.

2018 წლის 1 მარტს საკალათბურთო დარბაზში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 2018 წლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ქალაქ ფოთის პირველობა „მხიარულ სტარტებში“, სადაც მონაწილეობდნენ საჯარო სკოლების 2004-2009 წლებში დაბადებული მოსწავლეები.

2018 წლის 3 მარტს- ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სამსახურის ორგანიზებით დედის დღე მიულოცეს აფხაზეთიდან დევნილ უხუცეს ქალბატონს და მრავალშვილიან დედებს.

2018 წლის 6-7 მარტს საკალათბურთო დარბაზში გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ქალაქ ფოთის პირველობა მინი კალათბურთში (3X3) 2002-2004 წლებში დაბადებულ საჯარო სკოლების მოსწავლე გოგონათა და ვაჟთა შორის.

2018 წლის 8 მარტს– გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ქალაქის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე, წარმატებულ შვიდ ქალბატონს მუნიციპალიტეტის სამადლობელო სიგელი გადაეცათ. ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღეს მომღერალმა დავით არჩვაძე, კვარტეტი „ჰანგები“, ადგილობრივი შემსრულებლები.

2018 წლის 13-14 მარტს საკალათბურთო დარბაზში გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ქალაქ ფოთის პირველობა ხელბურთში 2002-2004 წლებში დაბადებულ საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის.

2018 წლის 16 მარტს 9 აპრილის ხეივანზე გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ქალაქ ფოთის პირველობა ,,გეზრბენში'' საჯარო სკოლის მოსწავლე გოგონათა და ვაჟთა შორის.

2018 წლის 20-21 მარტს ფეხბურთის სასპორტო სკოლის სტადიონზე ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ქალაქ ფოთის პირველობა მინი ფეხბურთში 2002-2003-2004 წლებში დაბადებულ საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის.

2018 წლის 21 მარტს– ახალი საქართველოს უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ნიკოლოზ ხომასურიძის ნამუშევრის, კინოფილმ ,,ექვთიმე ღვთისკაცი" ჩვენება, რომელიც ისტორიკოსის, არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებას, ემიგრაციაში გატარებულ წლებს ეძღვნება. მოსწავლე-ახალგაზრდობას და ქალაქის საზოგადოებას ჰქონდათ საშუალება გულახდილი დისკუსია გაემართათ ფილმის გადამღებ შემოქმედებით ჯგუფთან.

2018 წლის 21 მარტს-სამსახურის ორგანიზებით დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარებს შეხვდნენ , ,,კოალიცია "სოციალური რეფორმებისთვის" შშმ ბავშვთა "დღის ცენტრის " ხელმძღვანელმა თამარ ფოფხაძემ დაუნის სინდრომის შესახებ ინფორმაციულობის

დონის ამაღლებასთან დაკავშირებით, პრეზენტაცია წარმოადგინა. ღონისძიებას ქალაქში სტუმრად მყოფი, ოსტამარის დელეგაციის წევრები დაესწრნენ. შეხვედრის მონაწილეებმა ბავშვებთან ერთად სამახსოვრო სურათები დახატეს და ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა.

2018 წლის 23 მარტს –გაიხსნა ქალაქ ფოთის სახელოვნებო ცენტრთან არსებული სამხატვრო სასწავლებლის ტანსაცმლის მხატვრული დამუშავების ფაკულტეტის პედაგოგების ეკატერინე გედენიძის და მაია წულაიას ერთობლივი გამოფენა–.„ქალი და მარტი“. მოდელირების ფაკულტეტის მოსწავლეებმა მეღვინეობა „ხარება“ -ს საფირმო მაღაზია-სალონში სასწავლებლის პედაგოგების მიერ დამზადებული ხელნაკეთი სამკაულები, თოჯინები, ბატიკა და თექა გამოფინეს.ასევე წარმოადგინეს საკონკურსო და სადიპლომო ნამუშევრები. გამოფენას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და ფოთში სტუმრად მყოფი შვედეთის დელეგაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2018 წლის 24-26 მარტს ფოთში ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის რეგიონული შესარჩევი კონფერენცია _2018 ჩატარდა. კონფერენციის ფარგლებში თეოფანე დავითაიას სახელობის პირველ საჯარო სკოლაში მოეწყო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს ვორქშოფი. ახალგაზრდული პარლამენტის მიზანი იყო ევროპული მმართველობის გაცნობა, ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნებისა და დებატების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

2018 წლის 31 მარტს ქ. მარტვილში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 2018 წლის სამოყვარულო ფეხბურთის ჩემპიონატი. გახსნით მატჩში „მოყვარულთა თასი 2017“-ის გამარჯვებული ფოთის „ჭაბონამა“ ფოთის „კოლხიდას“ დაუპირისპირდა და მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით 4:0.

2018 წლის 2 აპრილს– ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახელობის მეორე საჯარო სკოლაში ინტელექტ-ჩემპიონატი „ფოთის ეტალონი მოსწავლე“ ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას ქალაქის საჯარო სკოლების 72 მოსწავლე ღებულობდა. „ფოთის ეტალონი მოსწავლე“ 2017-2018 სასწავლო წლის გამარჯვებული, მე-15 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ლევან გორგაძე გახდა. პროექტ „ეტალონის“ ავტორმა და წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა სიმბოლური საჩუქრები გადასცა „ფოთის ეტალონ მოსწავლე“ 2017 წლის გამარჯვებულს ვალერი ყუფუნიასა და მესამე საჯარო სკოლის დირექტორს ლელა კემულარიას.

2018 წლის 9 აპრილს– ქალაქ ფოთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა , მოსწავლე– ახალგაზრდობასთან ერთად ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი და პატივი მიაგეს დაღუპულ გმირთა ხსოვნას. ფოთის უფლის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარში დაღუპულთა მოსახსენიებელი პანაშვიდი ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა აღავლინა.

2018 წლის 11 აპრილს რაგბის სტადიონზე ,,პარკი არენა” გაიმართა მოყვარულთა თასი-2018 წლის გათამაშების ფინალური მატჩი ფეხბურთში, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საფეხბურთო გუნდები ,,ჭაბონამა” და ,,ტუბორგი”. თამაში დასრულდა ,,ჭაბონამა”-ს გამარჯვებით, რომელმაც მოიპოვა რეგიონალურ პირველობაზე ასპარეზობის უფლება.

2018 წლის 12 აპრილს– გაიხსნა დედა ენის კვირეული. ქალაქის მოსწავლე -ახალგაზრდობა და საზოგადოების წარმომადგენლები ახალგაზრდა პოეტებს: ზვიად კვარაცხელიას, გვანცა ჯობავას და ნინო სადღობელაშვილს შეხვდნენ. ბიბლიოთეკის ფოიეში გამომცემლობა ,,ინტელექტის“ და ,,არტანუჯის“ წიგნების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. ბიბლიოთეკის ფოიეში მოეწყო ქართული ენის თემატიკისადმი მიძღვნილი, აკაკი ჩხაიძის სახელობის სასწავლებლის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა.

2018 წლის 13 აპრილს–ჩატარდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი მასწავლებელთა კონფერენცია–,,ენა ქართული -მოვლენილი მადლი ზეცისა”. კონფერენციას ესწრებოდა მოსწავლე–ახალგაზრდობა და პედაგოგები. მოეწყო კონკურსის ,,საუკეთესო კალიგრაფი” ხელნაწერების გამოფენა–კონკურსი.

2018 წლის 14 აპრილს–დედა ენის კვირეულის ფარგლებში, ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში, ბავშვთა ნახატების გამოფენა–„ქალაქი და ზღვა“გაიხსნა. ამ თემატიკაზე შექმნილი

ნამუშევრები ფოთის აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის მოსწავლეებმა და მათთან ერთად, დედაქალაქიდან მოწვეულმა სტუმრებმა, თბილისის სოლიკო ვირსალაძის სახელობის #1 სამხატვრო ხელოვნების სკოლის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს.

2018 წლის 14 აპრილს -ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში, ა(ა)იპ სახელოვნებო ცენტრის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის, მხატვრული კითხვის წრის წევრებმა ლიტერატურული კომპოზიცია „ოდა ქართულ ენას“ წარმოადგინეს. ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ პოეტები : ნანა გუნია, მურად მთვარელიძე, მიხეილ ღაღანაშვილი.

2018 წლის 14 აპრილს–„ფოთის დღეები_2018“ ის ფარგლებში, ა(ა)იპ სახელოვნებო ცენტრის დარბაზში ქალაქ ფოთის თვითმმართველობისადმი მიძღვნილი ღონისძიება–,, ფოთის თვითმმართველობის ისტორია“ გაიმართა. მონაწილეებმა ქალაქი ანტიკური ეპოქიდან დღემდე, ფაზისისა და შემდგომ ფოთის განვითარების ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები წარმოადგინეს. ქალაქის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ფოთის 16 მოქალაქე მადლობის სიგელით დაჯილდოვდა.

2018 წლის 15 აპრილს– ,,ფოთის დღეები-2018'' საკათედრო ტაძრის სამრევლო დარბაზში ქალაქის სიმბოლიკისა და ჰერალდიკის გამოფენით გაიხსნა, რომელსაც საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, საქართველოს პარლამენტის წევრი სალომე ზურაბიშვილი, სხვადასხვა ქალაქების მერები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები, დელეგაციები ისრაელისა და პოლონეთის დამეგობრებული ქალაქებიდან, სამღვდელოება და ქალაქის საზოგადოება დაესწრო. სამრევლო დარბაზშივე, შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარსდგა კვინტეტი „ურმული“, რომელმაც ხალხური ინსტრუმენტების თანხლებით ეროვნული სიმღერები და საგალობლები შეასრულა.

2018 წლის 15 აპრილს - ,,ფოთის დღეები-2018'' ფარგლებში მუზეუმის დირექტორმა ელენე გაბლიანმა, მუზეუმში წარმოდგენილი ექსპონატებზე დაყრდნობით, ფოთის ისტორიის მცირე ექსკურსი წარმოადგინა და ქალაქის დაგეგმარების თემაზე ლექცია წაიკითხა.

2018 წლის 15 აპრილს- ფოთის საჭადრაკო კლუბმა „ნანა“, „ფოთის დღეები-2018“-სადმი მიძღვნილი, ღია ბლიც ტურნირი გამართა, რომელშიც კლუბის 40-მდე აღსაზრდელი და ჭადრაკის მოყვარულები იღებდნენ მონაწილეობას. ჩემპიონატში გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

2018 წლის 15 აპრილს –დიდი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ძეგლთან, ფოთის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

2018 წლის 15 აპრილს— ფოთის არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებელში გაიმართა კონცერტი, რომელიც გამოჩენილი ქართველი ლოტბარის, ღვაწლმოსილი პედაგოგისა და ხელოვანის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის არჩილ ხორავას 90 წლის იუბილეს მიეძღვნა.

,,ფოთის დღეები -2018,“ – 15 აპრილს, ქალაქის ცენტრალურ პარკში გამართული ღონისძიებით დასრულდა, რომელშიც ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად, დედაქალაქიდან მოწვეული ცნობილი ანსამბლის „ქუჩის მუსიკოსების“ ორი თაობა იღებდა მონაწილეობას.

2018 წლის 15 აპრილს ქალაქ ზუგდიდში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული რეგიონალური პირველობა გეზრბენში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ფოთის საჯარო სკოლების ნაკრები გუნდი.

2018 წლის 16 აპრილს–თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი შემოქმედი, ფოთის საპატიო მოქალაქე, კლასიკოსი მწერალი გურამ დოჩანაშვილი, თეოფანე დავითაიას სახელობის #1 საჯარო სკოლაში მოსწავლე-ახალგაზრდობას შეხვდა.ყველასთვის საყვარელმა მწერალმა ახალგაზრდების კითხვებს უპასუხა და თავისი შემოქმედების ირგვლივ ისაუბრა.

2018 წლის 17 აპრილს, ჩატარდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა ლიტერატურული ჩანახატების სახელდახელო კონკურსი–,,ჩვენი ენა ქართული”გაიმართა, რომელშიც ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების 25 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. კონურსანტებმა იმპროვიზებული საინტერესო ჩანახატები შექმნეს.

2018 წლის 18 აპრილს – ქართული ენის დღესთან დაკავშირებით თეოფანე დავითაიას სახელობის N1 საჯარო სკოლაში, ჩატარდა მოსწავლეთა გრამატიკული კონკურსი "ენაი შემკული და კურთხეული", რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა გუნდები. კონკურსის მიზანი იყო ქართული სალიტერატურო ენის ნორმების განმტკიცება, ცოდნის შეჯამება და სრულყოფა.

2018 წლის 19 აპრილს -ქალაქ ზუგდიდში გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული რეგიონალური პირველობა მინი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღო ფოთის N15 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

2018 წლის 20 აპრილს– ფოთს პანკისის ხეობის უხუცესები და ქისტ ქალთა საბჭოს წევრები ეწვივნენ. სტუმრებს შორის იყვნენ პოეტი კანეი მარგოშვილი და მთარგმნელი, ფილოლოგიის დოქტორი მექა ხანგოშვილი. აქვე გაიმართა, ვაინახურ თემაზე შექმნილი, წიგნების პრეზენტაცია. დღის ბოლოს კი, სახელოვნებო ცენტრის დარბაზში, ჩამოსული და ადგილობრივი ხელოვანების მონაწილეობით, ვაინახურ-ქართული შემოქმედებითი კონცერტი ჩატარდა.

2018 წლის 21 აპრილს– დედაენის კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეებისა და მონაწილე პედაგოგებისათვის მოეწყო შემეცნებითი ექსკურსია ,,ფოთი–ვარიანი–შინდისი–გორისციხე–გორიჯვარი–ფოთი.'' დაჯილდოების ცერემონიალი დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში, ვარიანში გაიმართა, სადაც მოსწავლეებს და მასწავლებლებს გადაეცათ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სიგელები და სასაჩუქრე წიგნები. მონაწილეებმა პატივი მიაგეს 2008 წლის ომის დროს დაღუპულ ,,შინდისელ გმირებს“, ყვავილებით შეამკეს მემორიალური დაფა.

9 მაისს ჩატარდა 9 მაისი-ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გვირგვინითა და ყვავილებით შეიმკო დიდების მემორიალი.

14-15-16 მაისს ჩვენმა ქალაქმა უმასპინძლა ნატოს სამხედრო გემების ვიზიტს, გაიმართა გასართობი-კულტურული ღონისძიებები, ფოკლორული ანსამბლის ,,პირიმზე“ საანგარიშო კონცერტი.

18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს, საინტერესო და მრავალფეროვანი საჩვენებელი და საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგინა ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმმა. 19 მაისს წარმატებით განხორციელდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეგიდით პროექტი ,,ღამე მუზეუმში“.

2018 წლის 18 მაისს ქალაქ ზუგდიდში გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული რეგიონალური პირველობა ,,მხიარულ სტარტებში'', სადაც მონაწილეობდნენ ზუგდიდის, სენაკის, ჩხოროწყუს, ხობის, მარტვილის, წალენჯიხისა და ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლის გოგონათა და ვაჟთა ნაკრები გუნდები.

2018 წლის 18-20 მაისს გაიმართა ზურაბ სარსანიას სახელობის ტრადიციული ტურნირი კრივში 2006-2007-2008 წ.წ. დაბადებულ მოკრივეთა შორის, სადაც ფოთელმა მოკრივეებმა წარმატებით იასპარეზეს:

2018 წლის 25 მაისს სამსახურის ორგანიზებით მოეწყო შეხვედრა ,,ჩემი ქალაქის მოხალისის" პრეტენდენტებისთის მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილთან. სამსახურის ინიციატივით დაწყებული ახალგაზრდული პროექტი ,,ჩემი ქალაქის მოხალისის" ფარგლებში შემოტანილ იქნა 14-29 წლამდე ახალგაზრდის 80 -მდე ინტერნეტ განაცხადი. მოხალისეები მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქალაქის ასევე საკუთარი ინიციატივით დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

2018 წლის 26 მაისს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩვენს ქალაქში გაიმართა სპორტული ღონისძიებები ჭადრაკში, კროსში და ველოგარბენში. აგრეთვე მდინარე რიონზე მოეწყო საჩვენებელი გაცურვები კანოე, საბაიდარო და აკადემიურ ნიჩბოსნობაში, საიალქნო და წყალსათხილამურო სპორტში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქის სასპორტო სკოლების სპორტსმენები და

მოხალისეები. აგრეთვე კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პირველობა მკლავჭიდში, ნარდში, შაშში და მაგიდის ჩოგბურთში.

2018 წლის 26 მაისს-საქართველოს ეროვნული დღესასწაული საზეიმოდ აღინიშნა. გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ღონისძიებები საინტერესოდ წარიმართა: საბავშვო გასართობი აქტივობები, გარემოს დაცვის თემატიკით კოსტიუმირებული მსვლელობა, მცენარეების გამოფენა, პროფესიული სასწავლებლების ნამუშევართა გამოფენა, ,,ისტორიის კვალდაკვალ"...-საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი თემატური გამოფენა ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში მარინისტული გამოფენა მოაწყო სამხატვრო სასწავლებლმა ფოთის შუქურაში, საზღვაო რუკების გამოფენა - საქართველოს სახელწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურში, ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენები, საუკუნისწინანდელი ბიბლიოგრაფიული გამოცემების გამოფენა-პრეზენტაცია მოაწყო საბიბლიოთეკო გაერთიანებამ, სპორტული პროგრამა წარმოადგინა (კროსი, ველოგარბენი, სანიჭბოსნო სკოლისა და საიალქნო კლუბის მოსწავლეთა საჩვენებელი გამოსვლა მდ.რიონზე); საზეიმო კონცერტი, ფოთის მუნიციპალიტეტში არსებული ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლების მონაწილეობით;

გაიმართა წლის წარმატებულ კურსდამთავრებულთა დაჯილდოება;

2018 წლის 27 მაისს ჭიდაობის დარბაზში გაიმართა ქალაქ ფოთის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 2004-2006-2008 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ: ქუთაისის, ბაღდადის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ჯვარის, წალენჯიხის, აზერბაიჯანისა და ფოთის ნაკრები გუნდები, სადაც ფოთელმა მოჭიდავეებმა მოიპოვეს 6 - I ადგილი, 4 - II ადგილი და 4 - III ადგილი. მწვრთნელი ავთანდილ კოპალიანი.

2018 წლის 28-29 მაისს წყალტუბოს სპორტის სასახლეში გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური პირველობა ხელბურთში გოგონათა და ვაჟთა შორის, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ გურიის, იმერეთის, აჭარისდა ქალაქ ფოთის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები. ფოთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით იასპარეზეს როგორც გოგონათა და ვაჟთა ასპარეზობაში და გახდნენ ზონალური პირველობის გამარჯვებულები და მოიპოვეს ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება, რომელიც გაიმართება 26-28 ივნისს, ქალაქ თბილისში.

2018 წლის 29 მაისს 2017-2018 წლის წარჩინებული მოსწავლეებისათვის ჩატარდა გასვლითი ღონისძიება ქალაქგარეთ, ზღვისპირა ქალაქში კულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი პროგრამით.

29 მაისს ა. ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებელში გაიმართა ღვაწლმოსილი და ამაგდარი ხელოვანის, ქალბატონი ეთერ დანელიას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

30 მაისს ახალი საქართველოს უნივერსიტეტში აშშ-ის საელჩოს ეგიდით გაიმართა შეხვედრა - NASCAR-ის ავტომრბოლელ ჯენიფერ კობთან.-„ქალებს ყველაფერი შეუძლიათ" კამპანიის ფარგლებში.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოწვევით, NASCAR-ის ავტომრბოლელი ქალი ჯენიფერ კობი, საქართველოში შეხვედრებს მართავს. ფოთში ჯენიფერ კობი ადგილობრივ თვითმმართველობასა და ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ ქალბატონებს შეხვდა.

2018 წლის 30 მაისს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ჩატარდა ,,ფოთის მოხალისე 2018-ის" გასაუბრების ეტაპი. გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით შეირჩევა 40-მდე ახალგაზრდა მოხალისე, რომელიც ერთი წლის ვადით მოიპოვებს ფოთის მოხალისეს ოფიციალურ სტატუსს და მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა კულტურულ, სპორტულ, სოციალურ, ეკოლოგიურ და ახალგაზრდულ ღონისძიებაში. შერჩეულ მოხალისეებს საჩუქრად გადაეცათ ბრენდირებული მაისურები და კეპები.

2018 წლის 1 ივნისს ბავშვთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ჩატარდა, სადაც მოეწყო სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა ნამუშევრების გამოფენა, საბავშვო საესტრადო კონცერტი ს/დაწესებულებების აღსაზრდელთა და ქალაქში არსებული საბავშვო სტუდიების მოსწავლეთა მონაწილეობით, რომელშიც ქ.ბათუმიდან ჩამოსული ზღაპრის გმირები მონაწილეობდნენ. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ა(ა)იპ კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის ფოთის შშმ ბავშვთა დღის ცენტრის აღსაზრდელები მოინახულეს.

2 ივნისი-ანსამბლ ,,დიდგორის' კონცერტი , საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ,,ბაღია ჩვენი ქვეყანა" ფარგლებში ფოთის არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებელში მგალობელ-მომღერალთა გუნდმა ,,დიდგორი" სოლო კონცერტი გამართა, კონცერტში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან არსებული ფოთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ (ხელმძღვანელი იროდი ტიკარაძე).კონცერტი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ქალაქ ფოთის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

2018 წლის 3 ივნისს მდინარე კაპარჭაზე გაიმართა ვიქტორ კრატასიუკის სახელობის რეგატა საბაიდარო და კანოეთ ნიჩბოსნობაში, სადაც მონაწილებას ღებულობდნენ რუსთავის, თბილისის, ქუთაისის, მცხეთის, დუშეთის და ფოთის ნაკრები გუნდები. ააიპ ქალაქ ფოთის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების კანოეს სასპორტო სკოლის ნიჩბოსნებმა წარმატებით იასპარეზეს და მოიპოვეს 2 – I, 4 – II და 6 – III საპრიზო ადგილები.

2018 წლის 3 ივნისს ,,ჩემი ქალაქის მოხალისეებისთვის მოეწყო" კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის დათვალიერება, პარკის მნიშვნელობის გაცნობითი ხასიათის ლექცია და პალიასტომის ტბაზე ტური-პანტომით გასეირნება.

2018 წლის 4 ივნისს ქალაქ ფოთს სტუმრობდა საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში, გიორგი ტუმასიანი.შეხვედრაზე, ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროექტების მიმდინარეობასა და მოზარდების აქტივობებზე ისაუბრეს. განიხილეს აღნიშნული მიმართულებით არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები. გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გიორგი ტუმასიანი, ფოთის მერის მოადგილე,გიორგი ფარეშიშვილი და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება შეთანხმდნენ საერთო ღონისძიებების ჩატარებასა და ურთიერთთანამშრომლობაზე.

2018 წლის 7 ივნისს, ზუგდიდში, ტექნოპარკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მოხალისეობის ფორუმი. ფორუმში მონაწილეობა მიიღო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლებმა და ქალაქ ფოთის მოხალისეებმა. ფორუმი მიზნად ისახავდა რეგიონში მოხალისეობის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობას. ფორუმმა ერთმანეთთან დააკავშირა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი ორგანიზაციები/დაწესებულებები ვინც ეძებდა მოხალისეებს და მათ, ვისაც მოხალისეობა.სურდა. ფორუმის პირველი ნაწილი დაეთმო პრეზენტაციებს, რომლების საქართველოში და კერძოდ რეგიონში მოხალისეობის ისტორიას შეეხო: „მოხალისეობა კოლხურ ტრადიციებში"; „პროგრამა - საქართველოს მოხალისე - წარ-წარმატებული პრაქტიკა, მაგალითები"; „დროის ბანკის" კომპონენტის მიმოხილვა - შედეგები/წარმატებული გარიგებები". ასევე რეგიონში მოქმედმა ორგანიზაციებმა გაუზიარეს დამსწრეებს მოხალისეობასთან დაკავშირებულიგამოცდილება.ფორუმის მეორე ნაწილში გაიმართა მოხალისეების მაძიებელ ორგანიზაციებსა და მოხალისეებს შორის მოლაპარაკებები/გარიგებები. ფორუმში მონაწილეობა მიიღო 30-მამოხალისეების მაძიებელმა რეგიონში მოქმედმა არასამთავრობო და ბიზნეს ორგანიზაციამ, 100-მა მოხალისემ, დაიდო 100-ზე მეტი გარიგება.

2018 წლის 10 ივნისს ახალგაზრდული პროექტ ,,ჩემი ქალაქის მოხალისის" მონაწილეების მიერ მოეწყო პორტის ზღვის სანაპიროს დასუფთავების ქცია.

2018 წლის 10 ივნისს ქალაქ ფოთში გაიმართა ქალაქ ფოთის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების - ოზურგეთის, ლანჩხუთის, ხობის, სენაკის, აბაშის, მარტვილის, ქუთაისისა და ფოთის ნაკრები გუნდების მოჭიდავეები, სადაც ფოთელმა მოჭიდავეებმა წარმატებით იასპარეზეს.

2018 წლის 14 ივნისს ქ. ზუგდიდში გაიმართა ფესტივალი ,,გზა ერთობისკენ - რუხი 2018''-ის პროგრამით გათვალისწინებული მარათონი, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 600 მონაწილე, მათ შორის 3 ფოთელი მძლეოსანი სპორტსმენი, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს და მოიპოვეს საპრიზო ადგილები.

2018 წლის 16-17 ივნისს რაგბის სტადიონ ,,პარკი არენაზე" გაიმართა მორაგბეთა გუნდის ,,კოლხი რაინდები" 20 წლის იუბილესთან და დავით სანიკიძის სახელობის თასის გათამაშება 7-კაცა რაგბში 13 წლამდელ მორაგბეთა შორის, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ: თბილისის ,,აკადემია", თბილისის ,,თბილისი", ქუთაისის ,,აია", ქუთაისის ,,არესი", ჩაქვის ,,ჩაქვი", ოზურგეთის ,,არწივები", ,,კოლხი რაინდები 1" და ,,კოლხი რაინდები 2" მორაგბეთა ნაკრები გუნდები. მესამე ადგილისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ,,კოლხი რაინდები 1" და თბილისის ,,თბილისი", სადაც გამარჯვება წილად ხვდათ ფოთელ მორაგბეებს, რომლებმაც მოიპოვეს საპატიო III საპრიზო ადგილი. ხოლო ფინალურ ორთაბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ,,აკადემია" და ქუთაისის ,,არესი". დაძაბულ ორთაბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს ქუთაისელმა მორაგბეებმა, რომლებიც გახდნენ პირველობის გამარჯვებულები. მათ გადაეცათ დავით სანიკიძის სახელობის თასი, სადგამი დიპლომი და მედლები. აგრეთვე საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის მედლები და სადგამი დიპლომები.

20 ივნისი- ა.ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებელის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა სასწავლო წლის დასკვნითი კონცერტი

21 ივნისი- ა.ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა კლასიკური მუსიკის კონცერტი.

25 ივნისი- ქალაქ ფოთის მალთაყვის სანაპირო ზოლზე სახელოვნებო ცენტრთან არსებულმა მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითმა ცენტრმა გამართა კონცერტი "გაღმა ნაპირელებს" საღამოზე ბავშვთა საესტრადო სიმღერების შემსწავლელი სტუდია "ანა-ბანა" და სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია "მზის გული" მონაწილეობდა.

27 ივნისი- რუსთაველის რკალის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელოვნებო ცენტრთან არსებულმა მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითმა ცენტრმა გამართა საესტრადო სტუდია"ანა-ბანა"-ს და სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია"მზის გული"-ს საზაფხულო კონცერტი.

28 ივნისს ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტის „ცოცხალი წიგნების" ფარგლებში, ქალაქს თანამედროვე ქართველი პოეტები და მწერლები ესტუმრნენ: კატო ჯავახიშვილი, მანანა მათიაშვილი, პაატა შამუგია, ბესო სოლომონაშვილი, ზაზა ბიბილაშვილი და ქეთევან დუმბაძე, საჯარო სკოლების მოსწავლეებს, პედაგოგებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ. პოეზიის მოყვარულებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ შვედ მწერალსა და გამომცემელს კრისტიანკარლსონს. წაკითხული იქნა ლექსები, ნაწყვეტები პროზაული ნაწარმოებებიდან. პოეტებმა პასუხი გასცეს დასმულ. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, „პოეზიის მეგობართა კლუბთან" ერთად, უკვე მესამე წელია საქართველოს რეგიონებში, ახორციელებს საგანმანათლებლო-ლიტერატურულ პროექტს „ცოცხალი წიგნები". პროექტის ხელმძღვანელია კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი, ქეთევან დუმბაძე, კოორდინატორი, პოეტი მარიამ წიკლაური.

29-30 ივნისს ფოთში „ კოლხურ - ლაზური ფესტივალი" ჩატარდა.ტრადიციულად ფესტივალი ჩვენს ქალაქში მეთერთმეტედ ტარდება. ფესტივალში მონაწილეობდნენ ადგილობრივი და

რეგიონებიდან ჩამოსული ანსამბლები. ფესტივალის ჟიურს ხელმძღვანელობდა მსოფლიო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, ფოთის საპატიო მოქალაქე რეზო ჭანიშვილი. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ ქორეოგრაფიის დამსახურებული მოღვაწეები.

გამოწვევები და ინიციატივები

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მოვლა-პატრონობის, პოპულარიზაციის ფარგლებში წელს, ნიკო ნიკოლაძის პერიოდის კულტურული მემკვიდროების ძეგლებზე განთავსდება შესაბამისი საანოტაციო დაფები. მოგეხსებათ, ქალაქში 67 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელთა უმეტესი ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია. პრობლემურად და პრიორიტეტულად მივიჩნევთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობისა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას პირდაპირი მნიშვნელობით-გადარჩენის საქმეს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კერძო მფლობელთა მხრიდან არაერთი წელია გრძელდება უგულისყურობა მათ მიერვე შეძენილი კულტურული მემკვიდრეობისადმი. საჭიროა გატარდეს მკაცრი სანქციები და ღონისძიებები ამ ძეგლების გადასარჩენად.

ქალაქისთვის მრავალწლიანი პრობლემას წარმოადგენს საკონცერტო დარბაზისა და საკონცერტო სცენის არქონა.

ქალაქს არ აქვს კინოდარბაზი.

პრიორიტეტულად მივიჩნევთ ახალგაზრდული ცენტრის გახსნას. ცენტრი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობის ზრდას, თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარებას, ახალგაზრდებისთვის შესაბამისი სრულფასოვანი გარემოს შექმნას, მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ქალაქის ტურისტული პოტენციალის ზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მუსიკალური ფესტივალებისა და საღამოების ჩატარება, მალთაყვის სცენა მიმზიდველ ადგილას არის განთავსებული, საგულისხმოა ისიც, რომ მნიშვნელოვანი ბაზა უკვე არსებობს, მთელი რიგი სამუშაოებია ჩატარებული, თუკი დაიგეგმება მალთაყვის სცენის აღდგენითი-სარეაბილიტაციო სამუშაობი, ქალაქს ძალიან კარგ ადგილას საკონცერტო ღია სცენა ექნება, რომელიც ზაფხულობით დიდი დატვირთვით იმუშავებს.

მნიშვნელოვანია მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის დებულებების კორექტირება- პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულებების განსაზღვრა, შესაბამისი კოორდინაციით, დებულებების იურიდიულად თანხვედრასა და შესაბამისობაში მოყვანა.

აღმზრდელ–პედაგოგების და სხვა პერსონალის მომზადება ბავშვთა ინტერესების პრინციპების დაცვის, ბავშვის მიმართ ძალადობის დაუშვებლობის საკითხებზე. თანამშრომლობა დიმიტრი

უზნაძის სახ.ფსიქოლოგიის სასწავლო ცენტრის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიციურ ფსიქოლოგებთან.

საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, ქალბატონ თინა ჭოჭუას 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, განყოფილების მიერ შემუშავდა დებულება, რომლის საფუძველზეც ქიმიის სასწავლო დისციპლინაში ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენის, საგნის სწავლისადმი ინტერესის გაძლიერების, მოსწავლეთა შემოქმედებითი საქმიანობისადმი მხარდაჭერის, სტიმულირებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით ჩატარდება მოსწავლეთა კონკურსი ''ვარსკვლავთცვენა''. ქიმიის საგანში საუკეთესო მოსწავლეს და მასწავლებელს თინა ჭოჭუას სახელობის ფულადი ჯილდო გადაეცემა.

საგანმანათლებლო-განმავითარებელი პროექტი: საზაფხულო პროფილური სკოლა-ბანაკი რომლის მიზანია ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია, მოსწავლეთა ენების ორგანიზაცია. ბანაკი გათვლილია ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეებზე და სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილებზე. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ქალაქის მასშტაბით ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენასა და მხარდაჭერას, მუშაობის ინოვაციური ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, მოსწავლეებში ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედებითი საქმიანობის , ახალი უნარ–ჩვევების შეძენას, მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცებას.

შემოქმედებითი პროექტი, რომლის მიზანია სასკოლო ოლიმპიადების ჩატარება, მხატვრულ-შემოქმედებითი ნიჭით (ცეკვა, მუსიკა, სიმღერა, დეკლამაცია) დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლენა, მხარდაჭერა და წახალისება.

მოზარდი თაობის პროფორიენტაციის მიზნით, სამსახური საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ფაზისთან'' ერთად გეგმავს საჯარო და კერძო სკოლებთან შეხვედრებს, კოლეჯში არსებული სპეციალობების შესახებ ინფორმირებისა და პოპულარიზაციის მიზნით, რაც ვფიქრობთ ხელს შეუწყობს მომავალში ახალგაზრდების დასაქმების პრობლემის გადაჭრას.

საბავშვო ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ქალაქ ფოთის ოთხივე მუნიციპალიტეტში, კერძოდ: საბავშვო ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ქალაქ ფოთის ოთხივე მუნიციპალიტეტში, კერძოდ:

ა) 21-ე საჯარო სკოლის

ბ) კოლეჯი ,,ფაზისის''

გ) ფალიაშვილის ქუჩის

დ) მე-7 საჯარო სკოლის ბაზაზე გაკეთდეს მარტივი ტიპის საფეხბურთო მოედნები, სადაც საფეხბურთო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლები ჩაატარებენ ვარჯიშებს ზემოთ აღნიშნული უბნების მოზარდებისათვის. ეს კი გარკვეულწილად განტვირთავს როგორც ცენტრალური სტადიონის, ასევე მალანიას სტადიონის საფეხბურთო მოედნებს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ვარჯიში უფრო სრულყოფილი გახდება.

საჭიროდ მიგვაჩნია ხელბურთის დარბაზში, სადაც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, დამონტაჟდეს ფრებურთის ბოძებისთვის ფუნდამენტი. ეს კი ხელს შეუწყობს ზემოთ ხსენებულ სპორტულ დარბაზში ფრენბურთის სექციის შექმნას და შემდგომ

განვითარებას, ხოლო დარბაზი დანიშნულებისამებრ უმასპინძლებს როგორც ხელბურთის, აგრეთვე ფრენბურთის პირველობებს.

რაც შეეხება ცენტრალურ სტადიონს, რომელიც დღესდღეობით მშენებლობის პროცესშია, გათვალისწინებული არ არის მძლეოსნობის სექტორი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სათადარიგო მოედნის ირგვლივ, სადაც დაგეგმილია ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის გაკეთება, საჭიროა გაკეთდეს სარბენი ბილიკი, სადაც აგრეთვე განთავსდება სიგრძის სახტომი სექტორი, თარჯბენი, როგორც 60, 100, 200, 400, 800, საშუალო მანძილები 1500, 3000 მ დისტანციები. ეს კი ხელს შეუწყობს მძლეოსნობის როგორც სახეობის შემდგომ განვითარებას.

აკადემიურ ნიჩბოსნობას არ გააჩნია სანიჩბოსნო ბაზა, ის განთავსებულია კონტეინერში.

კანოე და ბაიდარებით ნიჩბოსნობა, რომელიც განთავსებულია ბესიკის ქუჩაზე, საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, ელინგის (ნავების სათავსო) გაკეთებასა და კეთილმოწყობას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მწვრთნელების გადამზადება და ტრენინგების ჩატარება.

სამსახურის უფროსი ნიკოლოზ გრიგოლია